საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი ჩარჩულ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. ... 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ... მისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 294 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 294

იხსნება: დღეს ყველა :იხსნება

დილით სვამს ყავას, ჩაის და საუზმეს, დღისით სადილობს და საღამოდან შუაღამემდე ვახშმობს და ისმენს მაესტრო გაჯინის ორკესტრის მომხიბვლელ ხმებს

კაფე-რესტორან

26 მაისში

რუსთაველის (გოლოვინის) პრ. № 24. (ყოფილი მილოვის მაღაზია). ყოფილ ოფიცერთა საზოგადოება. (3376—1—1)

შაბათს, 27 დეკემბერს სოფ. ჭანჭათში (გურია) დანიშნულია საორმოცო პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულ

სევერიანე ქაიხოსროს ძე წულაძის

მოსაჴსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ფიდოსი, ძმა ვასილ ქაიხოსროს ძე წულაძე, რძალი მარგალიტა, ძმის წულები: სერიოჟა და თამარიკა, დები: ფადინე და ერმონია, სიძენები: ლადიკო კალანდაძე და პართენ გოგუაძე. (უფ. 2—1)

მწუხარებაში მყოფი ივანე ანტონის ძე ზოდელავა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი 28 დეკემბერს დიდუბის ეკლესიაში უდროვოთ დაკარგული და დაუვიწყარ მეუღლის

ვერა (ვარუშა) ზაქარიას ასულ ზოდელავას

სულის მოსახსენებლად. (3371 1—1)

მამა ერანიკო და დედა ქესარია მამალაძენი, შვილები: აპოლონ, თამარა, მანასი და ეუმელი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს, რომ შაბათს, იანვრის 10 (ახ. სტ.) დილის 10 ს. ს- ხევში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა

ავთანდილ მამალაძის

სულის მოსახსენებლათ. (3357 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლუბა რატიანის ასული. დედა იულია კაციტაძის ასული; ძმები მიხა და ილიკო სირაძენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ქრისტეშობისთ. 26 ქ. ხაშურში, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარ

ალექსანდრე თადეოზის ძე სირაძის

სომხებთან ომში დაღუპვიდან წლის წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3361 2—2)

ღრმათ დამწუხრებული დედა ეკატერინე, ძმა გიორგი მეუღლითურთ, დები და დის შვილები, სიძე ფარნაოზ ქეიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ შაბათს 27 დეკემბერს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის სახალხო გვარდიელის

გერმანე გიჟიას ძე მარშანიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. სოფ. სამებას (გურია) სასაფლაოზე, რომელიც გმირულათ დაეცა სომხებთან შეტაკებას დროს 19 დეკემბერს, 1918 წელს. (3375 2—1)

ღრმათ დაამწუხრებულნი ძმები: ილარიონი, იოსები, ისიდორე, დაი ოლღა ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. რომ 18 დეკემბერს, დღის 12 საათზე ნახუტურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულის და დაუვიწყარის

ანდრი დიმიტრის ძე წომაიას

სულის მოსახსენებლად. ((კუპ. 619 1—1)

ვერის რაიონის სახ. გვარ. შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს რომ 23 ქრისტეშობისთვეს ფრონტზედ დაავადმყოფების შემდეგ გარდაიცვალა ამხ. გვარდიელი

ვასილი პატატუნაშვილი

რომლის ცხედარი წასვენებული იქნა ს. წყნეთში, სადაც მოხდება დასაფლავება 25 ქრისტეშობისთვეს.

საექიმო პერსონალი, მასწავლებლები და იურის-კონსულტი

(იგივე ადმინისტრატიული განყოფილების გამგე)

საჭირონი არიან ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობისათვის; ექიმები და იურისკონსულტი თვეში ... —4,000 მან. ჯამაგირი. ფერშლები და ფერშალ-აკუშერკები—2,600 მან., ბეითლები 3,600 მანეთი, ბეითალი ფერშლები—2,400 მან. და მასწავლებლები—2,600 მ. უკანასკნელთ მიეცემათ ბინა გაიზობით და განათებით. მასწავლებლები საჭიროები არიან თათრულ, ქართულ და ბერძნულ სკოლებისათვის. სასურველია საექიმო პერსონალმა იცოდეს თათრული ენა მსურველთ შეუძლიათ განცხადებას გაგზავნა ამ მისამართით: კოლ. ეკატერინოვკა, საეროზო გამგეობას. (3348—3—3)

საქართველოს სახაზინო რკინის გზელების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

კულტურა განათლების

კომისიას გაახსნელი აქვს ქართული პოლიტიკური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 200. (ნ. 6—6)

## ევროპაში

სასტიკი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში სისხლის ღვრაში იხატებოდა, დღესაც არ დათავებულა. მართალია ომი ოფიციალურათ შეწყდა, ზარბაზნები აღარ გრიალებენ, თხრილებში აღარ ლპებიან სალდათები, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი დღევანდელ ბრძოლას არა ნაკლები მოაქვს, ვინემ წინანდელს. ზავი ვერსალში, იყო მხოლოდ ხელის მოწერა შიდა ევროპის სახელმწიფოთა კაპიტულიაციისა. მათ ხელის მოწერის აქტით მოიხარეს ქედი გამარჯვებულ ანტანტის წინაშე და მიუშვირეს კისერი მოსაჭრელათ. ანტანტამაც თავის კაპიტალისტური ბუნების თანახმად, ეს კისერი თავის ეკონომიური გაძლიერების და მოწინააღმდეგეთა ეკონომიური განადგურების საშუალებათ გადააქცია.

გერმანია და ავსტრო-უნგრეთი დღესაც გარემოცულია სასტიკი ბლოკადით. ყველაზე ძლიერი და საშინელი მტერი—შიმშილი მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. არა თუ წყდება ხალხი, იხოცება ბავშვები და ქალები, არამედ ისპობა ამასთანავე თვით საფუძველი ეკონომიური ცხოვრებისა, კვდება იმედი მომავალი გაუმჯობესების.

უკანასკნელი ცნობებით, პარიზის საბჭომ, რომელიც სრულ უფლებიანია სისასტიკეში, ხოლო სრულიად უძლური ლმობიერების გამოჩენის დროს, თითქოს ნება დართო ავსტრიისთვის სურსათის მიწოდების. როგორც დიდ მოწყალებას, ისე ძლევენ დამარცხებულთ უფლებას მიიღონ რომელიმე დიდი სახელმწიფოს გულკეთილობის ნაყოფი; მაგრამ გამოჩნდება კი ასეთი გულკეთილი?

ეს კიდევ საკითხია, და თუ მხედველობაში მივიღებთ კაპიტალის ძირითად თვისებებს, უნდა გამოვტყდეთ, რომ ავსტრიას, ეჭვი არაა, ეს გულკეთილი ხელი მეტათ ძვირათ დაუჯდება. იგი დიდი ხნით ამ გულკეთილ სახელმწიფოზე დამოკიდებული დარჩება.

იარაღში დაძლეული სახელმწიფოები დღეს ეკონომიურათ ნადგურდება. ომის შედეგების მთელი სისასტიკე ისეთი სახით იჩენს თავს, რომლის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა.

ევროპა დანგრეულია და მას კიდევ ანგრევს ზავის მძიმე ხელი, რომელმაც ეკონომიური ბრძოლა გამოაცხადა თავის ფაქტიურ ლოზუნგათ.

და ამ ბრძოლა-ჭიდილში, როგორც ამბობს ანდაზა—პირველათ ყოველისა ისრისებიან კოზაკები. დემოკრატია, ხალხი ხდება მსხვერპლი იმპერიალისტთა გაუმაძღრობისა.

მეტოქის შესამუსრათ და მსოფლიო ბაზრის დასასაკუთრებლათ სრესენ დღეს დამარცხებულთ იარაღით გამარჯვებამოპოვებულნი და მთელი ევროპის მუშა ხალხი კი ამ ბრძოლის წყალობით უკიდურეს გადაგვარების კარებამდეა მისული.

ევროპის მუშათა კლასმა გაიღო უდიდესი მსხვერპლი ომის დროს, მისი სისხლით ირწყვებოდა ველ-მინდორი. დღესაც იგივე მუშათა დემოკრატია ხდება შიმშილის მსხვერპლი, თავის გვამებით ავსებს ნესტიან სარდაფებს. და ამ საშინელ ტრაგედიას, ამ დაუსრულებელ ვაივაგლახს, არ უჩანს გამოსავალი გზა. რევოლუცია დამარცხებულ ქვეყნებში კიდევ ვერ ქმნის და ვერც შექმნის იმ პირობებს, რომელიც საჭიროა ახალი ევროპის წარმოსაშობათ. ეს ახალი ევროპა, ევროპა არა იმპერიალისტური, ევროპა მუშათა კლასისა კი ერთადერთი საშუალებაა ამ გასაჭირიდან თავის დასაღწევათ. ევროპაში დემოკრატიის გაბატონება—ერთად ერთი გზაა—იმპერიალიზმის წიაღიდან წარმოშობილ უბედურებათა გასანელებლათ. ომი გათავდა, მაგრამ ევროპის ცხოვრება ჯერ მაინც დუღილშია... და იგი კიდევ დიდხანს იბორგებს, კიდევ დიდხანს იდუღებს, სანამ დემოკრატიული ძალები არ ჩამოასხამენ ახალ ფორმებს საზოგადოებრივი ცხოვრებისას. კონფერენციის მეთაურნი ევროპას ისევ ძველის წყობილებისაკენ მიექაჩებიან... მით უარესი მათთვის. განახლების გრიგალის ქროლას ისინი ვერ შეაჩერებენ. ევროპის წინაშე გადაუვალით დასმული სფინქსის საკითხი: ან კულტურული განადგურება—უკან დახევა, ან გარდაქმნა.

და ჩვენი რწმენაა, რომ ევროპას კიდევ საკმაოთ მოეპოვება ძალა, რომ გარდაქმნისკენ გადახაროს ცხოვრების სასწორი...

## დაუდევრობა თუ კანცელიარშჩინა?

სხვადასხვა მაზრებიდან დამაღონებელი ცნობები მოდის. იწერებიან: დიდის ვაი-ვაგლახით აწყობილი სკოლები იხურება. მოწაფეები გარბიან, მასწავლებლები სკოლაში ვეღარ შედიან. მოსალოდნელია მთელი წყება სკოლების დახურვა. მიზეზი? მიზეზი თითქოს უბრალოა: სკოლის შენობის ფანჯრებში გამომტვრეულია მინები. არც იშოვება სადმე. ზამთრის სუსხი სამეცადინო ოთახებში თავისუფლად დასეირნობს და აცივებისაგან მოწაფეები ავად ხდებიან. ითხოვენ დახმარებას. ითხოვენ მინებს, რომელიც თურმე იშოვება მომარაგების საწყობებში. ერობებს დიდი ხანია აღუძრავთ ამის შესახებ შუამდგომლობა. განათლების სამინისტროსაც ნომები მიუღია. შეპირებიან კიდეც, მაგრამ... მაგრამ მაგარი ის არის, რომ კანცელიარიამ შეჭამა სკოლები. მომარაგების უწყება მთხოვნელს ქალაქთა კავშირის საწყობში აგზავნის, სადაც თურმე მინებია. ის აბრუნებს ისევ უწყებაში, უწყება ისევ უკან და ასე ამ მისვლა-მოსვლაში მიდის დღეები, იხურება სკოლები, ცივდება მოწაფეობა, ხელი ეშლება კულტურულ წინსვლელობას—კანცელიარშჩინა კი ხარობს და თავის რეგისტრაციით კმაყოფილი ისვენებს „от трудов праведных“.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაქცევთ ამას სერიოზულ ყურადღებას და ვითხოვთ საზღვარი დაედოს კანცელიარიის ასეთ გაბატონებას. რაც არ უნდა დაგვიჯდეს—სიმარტივემ და სისწრაფემ უნდა გაიმარჯვოს. კანცელიარშჩინა უნდა შეეწიროს ქვეყნის საარსებო ინტერესებს ..

განი.

## პრესა

„ივერია“ არ ცხრება. მას სიტყვების რახა რუხით სურს თავის უსუსურობის დამალვა. მან დიდის რიხით გამოაცხადა: „ერთობას“ ურჩევნია გაჩუმდეს, თორემ იმდენ ყალბი ნებართვებით მოვაჭრეებს დაგისახელებთ თქვენს ახლოს ხლო, რომ ქალაქდი და მელანიც არ გვეყოფაო. ჩვენ მაშინვე წინადადება მივეცით—აბა დაგვისახელეთ, თუ კი იცით ვინმე ასეთიო, „ივერია“ შეშინდა და ნაცვლათ დასახელებისა დამფუძნებელ კრებაზე და ვითომ პრესაში წინათ გამოქვეყნებულ ბოროტმოქმედებებზე დაიწყო მუსაიფი. მაგრამ რადგან ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს ვინმეს ბოროტმოქმედებას ხელი დავაფაროთ—ამიტომ ერთხელ კიდევ ვაძლევთ წინადადებას, „ივერიას“ დაასახელის, თუ იცის ასეთი პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სპეკულიატიური მუნდირის ზურგზე ამოჭრილი იქნება დიდი ასოებით: ცილის მწამებელი.

იმავე ნომერში „ივერია“ ერთხელ კიდევ იფხანს გულს განის გინებით. ის ებება განის წერილს მიწების ყიდვა-გაყიდვას, მარა სწერს ისეთი უტიფარობით, რომ მისი პასუხის გაცემა თავის დამცირებათ მიგვაჩნია.

## მიწების ყიდვა-გაყიდვა

(განის წერილის გამო)

II

გადავიდეთ თითონ პროექტზე.

ამხ. განს არც სამინისტროს პროექტი მოსწონს და არც აგრარულ კომისიისა.

მე პირადათ მიუდგომლათ მიმაჩნია მიწათმოქმედების სამინისტროს პროექტი და მხარს ვუჭერ აგრარულ კომისიის პროექტს.

მაგრამ ორივე აღნიშნული პროექტი ერთსა და იმავე საფუძველზე სდგას და განი სრულიად ლოღიკურათ იქცევა, როცა ორსავე პროექტს უარყოფს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრო, როგორც პრაქტიკულად ახლო მდგომი აგრარულ საქმესთან, ძალიან შორსაა იმ რომანტიზმისაგან, რომელსაც ზოგიერთები შეუპყრია. ქვემოთ მე განვმარტავ, თუ რად არ ვეთანხმები სამინისტროს პროექტს იმ სახით, რა სახითაც ის განის გადმოცემით აგრარულ კომისიაშია წარდგენილი.

ჯერ კი შევეხები იმ მთავარ საფუძველს, რომელიც აერთებს ორსავე პროექტს—მიწათმოქმედების სამინისტროს და აგრარულ კომისიისას.

განი სამართლიანად აღნიშნავს 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილების მნიშვნელობას და აზრს: ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა—ეს არ იყო პრინციპის კითხვა. ეს მხოლოდ საშვალებაა მიზნის მისაღწევად. მიზანი კი მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმება იყო და რომ მიწის მეპატრონეებს არ ესარგებლათ დროთი, მიწები არ დაჭრილიყო და არ დარიგებულიყო მრავალთა შორის, ყიდვა-გაყიდვის აკრძალვაც აუცილებელი იყოვო.

აგრარულ კომისიის პროექტიც სწორეთ აქედან გამოდის. ის ამბობს: რამდენათ მიღწეულია მიზანი, რომელსაც 23 თებერვლის დადგენილება ისახავდა იმდენათ საჭიროა ამ დადგენილების შეცვლა. ყოფილ პარლამენტის აგრარულმა კომისიამ შარშან თიბათვეში უარყო მიწათ-მოქმედების სამინისტროს ასეთივე პროექტი, რადგან მაშინ მიწების ჩამორთმევის საქმე მხოლოდ ახალ დაწყებული იყო და არც მიწათ-მფლობელობის ფორმა იყო მაშინ გამორკვეული.

დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა: 28 იანვრის კანონმა საფონდო მიწებისათვის დაუშვა კერძო საკუთრება და დაუშვა გაყიდვა. მაშასადამე დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დაკანონებული გარკვეული ფორმა მიწათ-მფლობელობის. და რაც თავი და თავია, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ადგილას უკვე დასრულებულია ჩამორთმევის პროცესი.

ამიტომ აგრარულ კომისიის პროექტი ფიქრობს, რომ 23 თებერვლის დადგენილება უნდა გაუქმდეს იმ ადგილებისათვის, სადაც ჩამორთმევა დასრულებულია, ხოლო იმ ადგილებისათვის, სადაც ჩამორთმევა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, აწესებს ნაწილობრივ გაყიდვის უფლებას, მხოლოდ ყოველ კერძო შემთხვევაში მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით. რატომ იქცევა ასე კომისია? სწორეთ იმიტომ, რომ როგორც თვით განი სწერს, ეს არ არის პრინციპის საკითხი. ასე ესმოდა ეს რუსეთის დროებით მთავრობას, რომლის დადგენილებას, 1917 წლის მკათათვეში გამოცემულს, განი თვით იხსენიებს; რუსეთის დროებით მთავრობას ხელდებით კი არ აუკრძალავს მიწების გაყიდვა, გადაცემა და სხვა, არა. 12 ივლისის დადგენილების 1 მუხლი პირდაპირ ამბობს: სიმტკიცის აქტის შესრულება... ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა ნება დართული იყოს საგუბერნიო სამდგილ-მამულო კომიტეტების მიერ მიწათ-მოქმედების მინისტრის დასტურით.

ასეთი იყო აგრეთვე კომისარიატის დადგენილება, რომელიც მან 23 თებერვალს მიიღო. ამ დადგენილებას განიც იხსენიებს, მხოლოდ ასეთ დასკვნას უკეთებს: როცა რეფორმა დასრულდებოდა, შემდეგ ეს აქტიც (ე. ი. აკრძალვა) გაუქმდებოდაო. ეს დასკვნა არ არის მართალი. ნამდვილად კი დადგენილება ასე იწყება: „განსავითარებლად 1917 წ. 16 დეკ. დებულების 1 და 5 მუხლებისა“. აღნიშნულ მუხლებში კი ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი აგრარულ რეფორმის დასრულებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან დასრულება ნიშნავს არა მარტო ჩამორთმევას, არამედ ჩამორთმეულის დარიგებას. დროებით მთავრობას და ამიერ-კავკასიის კომისარიატს ეშინოდა მხოლოდ იმის, რომ ჩამორთმევა არ გაძნელებულიყო, ხოლო რაკი ჩამორთმევა მოხდებოდა და ჩამორთმეული მიწა ფონდის სახით სახელმწიფოს ხელში დაგროვდებოდა, საშიშიც აღარ იქნებოდა გაყიდვა იმის, რაც პატრონს დარჩა. ეს ისეთი მარტივი ჭეშმარიტებაა, ისე ადვილი გასაგებია, რომ პირდაპირ გასაოცარია: საიდან მოიგონეს ვითომ რეფორმის დასრულებამდე აეკრძალოს კომისარიატს მიწების ყიდვა-გაყიდვა?

ან შეიძლება ეს აზრი ისე იყოს მისაღები. რა ვუყოთ, კომისარიატს იქნებ დაავიწყდა აკრძალვა რეფორმის დასრულებამდე და იქნებ ამ ჟამად იყოს სასურველი 23 თებერვლის დადგენილების ამ მხრით შეცვლა, ე. ი. აკრძალვაზე კიდევ ახალი აკრძალვის დამატება. რაიმე ახალ მოსაზრებას ჩვენ განის წერილში ვერ შევხვდით. არც შეიძლება ასეთი მოსაზრების მოყვანა, თუ, რასაკვირველია, საერთოდ არ ვიქნებოდით წინააღმდეგი ყიდვა-გაყიდვისა.

ერთად ერთი სერიოზული მოსაზრება მოჰყავს განს პროექტის წინააღმდეგ: განი ფიქრობს, რომ პროექტის მიღება, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის დაშვება ხელს შეუშლის რეფორმის განხორციელებას. ეს მოსაზრება მართლაც სერიოზულია, მაგრამ ის არსებითად უსაფუძვლოა. მე ვეკითხები განს და ყველა იმას, ვინც მის შეხედულებას იზიარებს: რითი შეუშლის ხელს აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ის გარემოება, რომ ყოფილი მემამულე გაჰყიდის იმ ნაჭერს, იმ თავის ნორმას, რომელიც მას მიმღებმა კომისიამ დაუტოვა 7 მარტის კანონის თანახმად? ან ის გარემოება, რომ გლეხი, რომელსაც თავიდანაც არ ჰქონია ნორმაზე მეტი და მაშასადამე არც ჩამოსართმევი აქვს რამე, თავის მიწას სხვას მიჰყიდის? გადაცემა და გაყიდვა ფაქტიურად ხომ მაინც ხდება, რასაც თვით განი ამოწმებს. და როცა 23 თებ. დადგენილებას გავაუქმებთ, ამით ხელს კი არ შეუწყობთ ბოროტ მოქმედებას, პირიქით: 23 თებ. დადგენილება უწყობს ხელს ბოროტ-მოქმედებას: კანონიერი საშუალების უქონლობა აიძულებს იმ პირებს, რომელთაც მიწის ყიდვა-გაყიდვა სურთ, უკანონობა ჩაიდინონ და 23 თებერვლის დადგენილებას გვერდი აუარონ. და სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ხაზინას ეკარგება ის შემოსავალი, რომელსაც უეჭველად მიიღებდა, რომ ნოტარიული აქტის შესრულება შეიძლებოდეს. ეს ერთი. მეორეც ის, რომ რადგან შინაურ პირობას ძალა არ აქვს, უპატიოსნო გამყიდავს საშუალება ეძლევა პირი გასტეხოს და შინაური პირობით გაყიდული მიწა უკან დაიბრუნოს, მეტადრე მაშინ, როცა ფულის კურსი დაეცემა და მიწის ფასი იმატებს.

და ვინც კომისარიატის დროებითი დეკრეტის ძალის განგრძობას ცდილობს, ის ჭეშმარიტად დათვურ სამსახურს უწევს უპირველეს ყოვლისა დემოკრატიას და ტყუილ-უბრალოდ ქმნის დაბრკოლებას, რომელსაც გარდა ცხოვრების არევისა არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ქ. ნ.

რედაქციისაგან: რედაქციას ეს კითხვა მიაჩნია საკამათოდ და ამიტომ უთმობს ადგილს სხვადასხვა შეხედულებებს.

## სურსათის და სანოვაგეს ფასები ევროპაში

საერთაშორისო ომიანობამ დიდი ცვლილება გამოიწვია ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში. მთელი ევროპა დიდ გასაჭირს განიცდის. ცხოვრება ყველგან გაძვირდა. ყველგან თავსამტვრევ

# დღეს

ლოიდ ჯორჯის განცხადებით ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება გაგრძელებულა 1920 წლის ბოლომდე.

ფრანგული პრესის ცნობით ბელგიას არ სურს 1839 წლის ხელშეკრულებით დადებული ნეიტრალობა. ის ამჯობინებს სამხედრო კავშირში შესვლას ინგლის-საფრანგეთთან.

ბერლინში თავს დაესხნენ ინგლისის სამხედრო მისიის წევრს ლეიტ. სპირ მენს და თავში დახკრეს.

ფიუმეს საკითხის გამო იტალიის პარლამენტმა 242 ხმით, წინააღმდეგ 216 ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

იტალიის პარლამენტში სოციალისტებსა და არა სოციალისტებს შორის ცხარე კამათი გაიმართა იტალიის რესპუბლიკად აღიარების შესახებ. სოციალისტების ხმებზე—„გაუმარჯოს რესპუბლიკას", არა სოციალისტები უპასუხებდენ—„გაუმარჯოს მეფესო".

---

საკითხათ გადიქცა სურსათისა და სანოვაგეს დამზადება. მხოლოდ ამერიკა და იაპონია უზრუნველყოფილნი არიან. ევროპაში კი სურსათს და სანოვაგის რაოდენობა განსაზღვრული არის და ყველგან გასაჭირი არის.

ძლიერ საყურადღებო არის თუ რამდენათ შეიცვალა სურსათის და სანოვაგეს ფასები ევროპაში 1914—1919 წლამდე საერთაშორისო ომიანობის მიერ გამოწვეული შედეგებით. სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს ევროპის მოთხოვნილებას.

აი ეს ცნობები სანოვაგის და სურსათის ფასების შესახებ.

| სურსათი ან სანოვაგე. | 30—VI-1914 წ. | 25—X 1918 წ. | 24—X-1919 წ. |
|---|---|---|---|
| სიმინდი 480 გირვ. | 3 სტერლ. 5 შილ. | 4 სტერ. 10 შილ. | 3 სტერ. 5 შილ. |
| ფქვილი 480 გირვ. | 1—8 | 2—4 | 2—4 |
| პური 480 გირვ. | 1—14 | 3—12 | 3—13 |
| ქერი 400 გირვ. | 1—5 | 3 | 4—13 |
| ბრინჯი ცენტნერი | 7 შილ. | 1—8 | 1—6 |
| შაქარი ცენტნერი | 12 შილ. | 2—17 | 2—11 |
| ცხვრის ხორცი 8 გირ. | 4—6 | 10—0 | 10—6 |
| ერბო 8 გირვ. | 4—18 | 12—12 | 12—12 |
| ღორის ხორცი 8 გირვ. | 3—6 | 12—0 | 10—8 |
| ხორცი 8 გირვ. | 3—8 | 9—2 | 9—0 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საერთაშორისო ომიანობის დაწყებიდან მიმდინარე წლის შემოდგომამდე სანოვაგის და სურსათის ფასები აწეულია. 1918 წ. როდესაც ომიანობა შესწყდა, სანოვაგის ფასები აწეული იყო, მხოლოდ ომიანობის შეწყვეტიდან 1919 წ. ფასებში დიდი ცვლილება არ მომხდარა. მთელ ევროპაში ფასები აწეული დარჩა და თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. საერთო მოვლენა არის ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში ცხოვრების გაძვირება. მოლოდინი არ გამართლდა. ფიქრობდენ, რომ ომიანობის გათავება გამოიწვევს ფასების შემცირებას. ეს არ გამართლდა და სანოვაგეს და სურსათის ფასები 1919 წ. ევროპაში არ კლებულობს, არამედ უცვლელად დარჩა. ალაგ ალაგ ემჩნევა ფასების გადიდებაც. ამ მოვლენას თავისი რთული მიზეზები აქვს. ეკონომიური ცხოვრება იმდენად აწეწილი დარჩა ომიანობის შემდეგ, რომ მისი დალაგება, ჩვეულებრივად წარმოების მსვლელობა შეუძლებელი იქნა. მოთხოვნილება კი ძლიერ დიდი შეიქნა. ევროპის ბაზარზე აღარ არის ისეთი დიდი მიწოდება, როგორც წინეთ იყო. რუსეთის სოფლის მეურნეობის ნაწარმოები აღარ შეიქნა ევროპის ბაზარზედ. თვით ევროპაში დანგრეულში და ალაგ ალაგ სრულიად განადგურებულში არ არის წარმოება, ან და წარმოება ძლიერ შემცირებული. მთელი ევროპის მოჭირნახულეთ ამერიკა შეიქნა. ვიდრე ეკონომიური ნიადაგი არ იქნება შესწორებული და შეკეთებული, შეუძლებელი არის მოთხოვნილების ჩვეულებრივად დაკმაყოფილება. ამას უნდა დაურთოთ აუარებელი ქაღალდის ფულის ნიშნები, რომლებსაც ფასი დაეკარგა. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ოთხი წლის ომიანობამ შრომის ნაყოფიერება ძლიერ შეამცირა. აი ამ მიზეზების გამო ცხოვრების სიძვირე არ ნელდება და ვერც შემცირდება.

უფრო ნათლათ რომ წარმოვიდგინოთ სანოვაგის და სურსათის გაძვირება ევროპაში ომიანობიდან 1919 წლამდე უმჯობესი იქნება ეს პროც. გამოვხატოთ.

| | | |
|---|---|---|
| სიმინდი გაძვირდა | — | 160 პროც. |
| ფქვილი | „ | 57,1 პროც. |
| პური | „ | 114,7 „ |
| ქერი | „ | 272,0 „ |
| ბრინჯი | „ | 271,1 „ |
| შაქარი | „ | 325,0 „ |
| ერბო | „ | 157,1 „ |
| ცხვრის ხორცი | — | 239,5 „ |
| ღორის ხორცი | — | 215 „ |
| ხორცი | „ | 164,7 „ |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს სანოვაგის და სურსათის ფასი თითქმის გაორკეცდა ამ ხუთი წლის განმავლობაში. მართალია, ფასები სხვადასხვა სანოვაგეზე და სურსათზე ერთი ორათ არ გაზრდილა. განსაკუთრებით გაიზარდა შაქრის ფასი. ეს აიხსნება იმით, რომ შაქრის წარმოება მართალია არ შემცირებულა, წინააღმდეგ მისი წარმოება გაძლიერდა, მაგრამ მსოფლიო ბაზარს დააკლდა რუსეთის შაქარი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ამერიკიდან შემოსული შაქარი კი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამას გარდა ერთი საყურადღებო მოვლენაც უნდა აღვნიშნოთ. რუსეთში, უკრაინაში შაქრის წარმოება ძლიერ დაეცა, რაც არის გამოწვეული სამოქალაქო ომიანობის, ბოლშევიკების ცდებით და უკრაინა, რომელიც შაქარს ევროპას აწვდიდა, თითონ ცდილობს შემოიტანოს შაქარი. დობრო არწიას სამეფოში უცხოეთიდან კიდეც შემოაქვთ შაქარი. ხორცეულობაც ძლიერ გაძვირდა. მართალია, ევროპაში ცხოვრება გაძვირდა, სანოვაგის და სურსათის ფასები გაიზარდა, მაგრამ ამ ზრდამ არ მიიღო ისეთი საშინელი სახე, როგორც რუსეთში, სადაც ყველაფერი გაძვირდა გაცელებით უფრო. მაგალითად ყუბანში თეთრი პურის ფასი გაიზარდა 3900 პროცენტით, უკრაინაში ხორცის ფასი გაიზარდა 6560 პროც. რა თქმა უნდა, რუსეთის ცხოვრების გაძვირება ევროპის ცხოვრების გაძვირებასთან შეუძლებელია. მიზეზი ასეთი განსხვავებისა ორნაირია: პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის, განუწყვეტელი სამოქალაქო ომი, შეუძლებლობა მყუდროთ მეურნეობის წარმოებისა, რკინის გზების დანგრევა ხელს უწყობს ცხოვრების სიძვირეს. ეკონომიურათ რუსეთი იმდენათ ჩამორჩენილი იყო, რომ ის განსაცდელი, რომელშიც ჩააყენა საერთაშორისო ომიანობამ, სასიკვდილო შეიქნა რუსეთის მეურნეობისათვის. უფრო ძლიერი მეურნეობა ევროპისა შეირყა, მაგრამ მას ისეთი ძლიერი საფუძველი ქონდა, რომ მეურნეობის ნიადაგი არ მოისპო და ევროპა უფრო ადვილათ იტანს ომიანობის შედეგებს და უფრო მეტის სისწრაფით ასწორებს ნანგრევებს. ომიანობამ კიდევ უფრო მჭერმეტყველათ დაამტკიცა, რომ ეკონომიური შეძლებულობა არის ერთად ერთი საფუძველი პოლიტიკური ძლიერებისა.

ს. ავალიანი.

## საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან

დენიკინელთა როსტოვის გაზეთ „ჟიზნ"-ის 28 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია „პრესბიუროს"-ს შემდეგი ცნობა: „ბოლშევიკური მუშაობა კავკასიაში".

თფილისი. ურთიერთობა ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებისა, ბოლშევიკებსა და ზოგიერთ ოსმალთა წრეებს შორის მათი საერთო ინტერესების ნიადაგზე იხლართება ძალიან რთულ კვანძათ. ბოლშევიკები, მიისწრაფიან რა მოხალისეთა ჯარის მდგომარეობის გასაძნელებლათ, ხელს უწყობენ საქართველოს და ადერბეიჯანის სეპარატისტულ მისწრაფებებს, ახალგაზრდა ოსმალნი ყოველმხრით ეხმარებიან ადერბეიჯანს და საქართველოს, რათა მოკავშირენი მოისპოვონ რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ეხლა აღორძინების პროცესშია და რომლის არსებობასაც ვერ ურიგდებიან ისინი. ბოლშევიკები ხელს უწყობენ ახალგაზრდა ოსმალებს, რათა გააძნელონ მოკავშირეთა მდგომარეობა ოსმალეთში. ზემო მოყვანილს ადასტურებს შემდეგი ციფრები: საქართველოს წარმომადგენელი სტამბოლში მოლაპარაკებას აწარმოებს ახალგაზრდა ოსმალებთან სომხეთის რესპუბლიკის, მოხალისეთა ჯარის და მოკავშირეთა წინააღმდეგ შეთანხმებულათ მოქმედების შესახებ. სივასის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა რუსეთის, ადერბეიჯანის და საქართველოს წარმომადგენლები. ბათუმში და ბაქოში მოლაპარაკება სწარმოებდა საქართველოსა და ადერბეიჯანის წარმომადგენლებისა, ახალგაზრდა ოსმალებისა და ბოლშევიკებთან მოხალისეთა ჯარისა და მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ახალგაზრდა ოსმალებმა საკმაოთ დიდი ძალი ფული მიიღეს ბოლშევიკებისაგან. ბოლშევიკების აგიტატორები ყოველგანაა დაგზავნილი. ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის შემდეგი შინაარსის ხელშეკრულება დაიდო: 1) ამიერ-კავკასიაში არ იქნენ შეშვებული რუსები. 2) ადერბეიჯანმა და საქართველომ უნდა იბრძოლონ ბოლშევიკებთან ერთად მოკავშირეების წინააღმდეგ ამიერ კავკასიიდან მათ გასადევნათ. 3) სომხეთი მტერათ ჩაითვალოს. 4) ადერბეიჯანსა და სომხეთის შორის ომის გამოცხადებისას საქართველომ სომხეთს უნდა მოუჭრას ყველა სამიმოსვლო გზა. 5) ქართველები ვალდებულნი არიან მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ ჯარი გაიყვანონ პეტროვსკის მიმართულებით. 6) ახალგაზრდა ოსმალების მოქმედების ბაზათ უნდა გახდეს ამიერ-კავკასია, ტრაპიზონი და რიზე. 7) ახალგაზრდა ოსმალნი ვალდებულნი არიან სხვადასხვა დროს გზავნონ 15 ათასი ასკერი საქართველოს და ადერბეიჯანის დასახმარებლათ და სომხეთში მაჰმადიან მცხოვრებთა ასაჯანყებლათ".

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ ამ ცნობაში მოყვანილი „ფაქტები" ყველა იმ უაზროდ შეთხზულ ამბების დასამტკიცებლად, რომლითაც იგი სავსეა, მტკნარი სიცრუეა. ასე: 1) საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში ახალგაზრდა ოსმალებთან არ სოდეს არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია ვისმეს საწინააღმდეგოდ შეთანხმებულ მოქმედების შესახებ, 2) სივასის კონგრესის მუშაობაში საქართველოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, 3) არც ბათუმში არც ბაქოში და არც სხვა რომელიმე ადგილას საქართველოს წარმომადგენლებს მოლაპარაკება არ გაუმართავთ არც ახალგაზრდა ოსმალებსა და არც ბოლშევიკებთან, 4) საქართველოს და ადერბეიჯანის ხელშეკრულებაში არ მოიპოვება ასეთი მუხლი: „არ შემოუშვათ ამიერ კავკასიაში რუსები"-ო, მაგრამ ხელშეკრულება იმ მიზნით არის დადებული, რომ ამიერ-კავკასიაში არ შემოუშვათ მოხალისეთა ლაშქარი, იმ შემთხვევაში თუ იგი მოისურვებს იარაღით თავს დაესხას ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განადგურების მიზნით, 5) ყალბი მოგონებაა აგრეთვე ის ცნობაც, თითქოს შეთანხმების ერთი მუხლი ეხებოდეს ამიერ კავკასიიდან მოკავშირეთა განდევნას. პირ-იქით, მოკავშირეთა ჯარების ამიერ-კავკასიიდან წასვლის დროს საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებმა ითხოვეს ამ ჯარების აქ დატოვება. ანალოგიური შუამდგომლობა აღძრეს აგრეთვე პარიზში მყოფმა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენლებმაც. 6) საქართველოს და ადერბეიჯანის ხელშეკრულებაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც სომხეთს მტრადა ჰხადოდეს, მაგრამ არის სრულიად ამის საწინააღმდეგო მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სომხეთს შეუძლიან განსაზღვრულ დროის განმავლობაში მიემხროს ამ ხელშეკრულებას და ამ რიგად შევიდეს ამიერ-კავკასიის თავდაცვის კავშირში.

პროვოკაციის მიზნით არის აგრეთვე გამოგონილი ის, ვითომ ხელშეკრულებაში იყოს მუხლი, რომელიც გულისხმობდეს სომხეთისადმი საქართველოს მტრულ ჩარევას სომხეთ ადერბეიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტში, თუ იგი მოხდა საუკეთესოთ უარჰყოფს ამ გამოგონილ ამბავს ის ფაქტი, რომ საქართველო ენერგიულათ გამოვიდა შემარიგებელის როლში ზანგეზურის საკითხის გამო ამას წინათ მომხდარ სომხეთ-ადერბეიჯანის მომხდარი გაუგებრობის დროს. 8) ასეთივე ინსინუაციაა ცნობა ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა ოსმალთა ბაზათ გადაქცევისა და საქართველო-ადერბეიჯანში 15,000 ასკერის გასაგზავნათ ახალგაზრდათა ოსმალებთან ვალდებულების შესახებ. საქართველო-ადერბეიჯანის ხელშეკრულების მიზანია საქართველოსა და ადერბეიჯანის თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა ყოველ გვარ თავდასხმისაგან მათ სუვერენულ უფლებებზე, მიუხედავათ იმისა, თუ ვის მხრით, დენიკინელთა რეაქციისა, თუ ახალგაზრდა-ოსმალთა იმპერიალიზმისა.

„პრეს ბიუროს" ცნობა შეთხზულია ფაქტების ისეთი არა სინდისიერ შერყვნით, რომ იგი საკმაოთ ნათლათ ამტკიცებს, თუ როგორ მტრებთან აქვთ საქმე ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს მოხალისეთა ჯარის პრესის სახით, რომელიც არავითარ საშუალებით არ უკადრისობს ამიერ-კავკასიის ხალხთა თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეის საწინააღმდეგოთ.

---

## დამფუძნებელი კრება

23 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) საქართველოს სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა საშუალების გაძლიერებისა და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარებისა და 2)—ყარაიაზის მამულის სარწყავი არხის შეკეთებისათვის 8,560,000 მან. გადადებისა და იმავე სისტემისათვის სათადარიგო საამშენებლო 400000 მან. თანხის დაარსების შესახებ

 პ. წულაიასი და გრ. ურატაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის საპენსიო კომიტეტისათვის 4,200,000 მან. გადაცემის შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 30 მილ. მანეთის გადადების შესახებ.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ. მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარგარეთ სადიპლომატიო და საკონსულო დაწესებულებათა შესანახად და სხვა ხარჯებისათვის საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 22 600 000 მ. გადადების შესახებ. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა ამ დეკრეტის საბოლოო ტექსტი.

ი. სალაყაიას მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონპროექტისა გასული სახარჯო აღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯების განაღდების შესახებ. ამ საკითხის გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ლ. შენგელაიამ, გრ. გიორგაძემ და ვ. თევზაამ.

---

## დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

24 დეკემბერი.

### ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 28 დეკ. სამხედრო ცნობები. ნარვის რაიონში სასტიკი ომი სწარმოებს. ჩვენს მხარეზე გადმოვიდა ნაწილი მტრის რაზმისა. მტერმა ყუმბარები დაუშინა ქ. დვინსკს. ესროლეს სულ 250 ყუმბარა. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო დაბა ჩუდნოვო. წითელი არმია მიიწევს ქ. ვაზატინისაკენ. კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენმა რაზმმა აიღო დაბა გოსოვიჩი (?) პოლტავის რაიონში წითელმა ჯარმა 30 ვერსზე წინ წაიწია პოლტავიდან სამხრეთით და კვლავ განაგრძობს წინსვლას. იზიუმის მიმართ ჩვენი ჯარი იბრძვის 5 ვერსით აღნიშნულ ქალაქიდან. სადგურ ზავომალოვის აღების დროს ხელთ ვიგდეთ 2 ორთქლმავალი და 31 ვაგონი, რომელთაგან 28 შეშით არის დატვირთული, 2 კი ნახშირით. მილეროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო მთელი რიგი სოფლებისა სადგურ ჩერტკოვის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე. ამავე მიმართულებით რკინის გზის რაიონში ჩვენ ავიღეთ სადგური ზორიკოვსკი და განვაგრძობთ წინსვლას სადგურ ჩერტკოვოსაკენ. დამატებითი ცნობების მიხედვით სეტრაკოვის რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, 20 ტყვიისმფრქვეველი, 1000 ვინტოვკა, 1 ტრაქტორი, დიდძალი პატრონები და ყუმბარები. ვეშენის რაიონში ჩვენ ავიღეთ რამოდენიმე სოფელი სადგურ ვიშენსკის სამხრეთით 10 ვერსზე. გურიევის მიმართ. ჩვენმა ჯარმა აიღო სიმაგრე გორსკაია, კალმიკოვიდან 45 ვერსით სამხრეთისაკენ. დამატებითი ცნობების მიხედვით კალმიკოვის აღების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 20 ზარბაზანი, 50 ტყვიისმფრქვეველი, ერთი ჰაეროპლანი, ერთი ჯავშნიანი მატარებელი და სხვა მრავალი სამხედრო დავლა. ნოვონიკოლაევსკის რაიონში ჩვენი წინსვლა ენერგიულად სწარმოებს.

### გერმანული პრესის ცნობები

დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიის ორგანო „ფრაიგაიტი" სწერს: დამოუკიდებელთა პარტია წინეთ იყო უკიდურესი ოპოზიციის პარტია, მაგრამ რევოლიუციური ხასიათი მიიღო გზაში—გოტიდან ლაიპციგამდე.

ქვედა პალატაში ლოიდ ჯორჯის განცხადების თანახმად ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება გაგრძელებულია 1920 წლის ბოლომდის.

ფრანგული გაზეთები უკმაყოფილო არიან ლოიდ ჯორჯის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმულ უკანასკნელი სიტყვით. „გოლუა" სწერს: მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთს, ინგლისს, იტალიასა და ბელგიას შორის დადებული კავშირით იქნება გამარჯვების შედეგები უზრუნველყოფილიო. „ეკლერი" უჩვენებს: ლოიდ ჯორჯის აზრით ინგლისი კი არ მფარველობს საფრანგეთს, არამედ საფრანგეთი ლებულობს ინგლისს თავის მფარველობის ქვეშ, და, მაშასადამე, საფრანგეთი ინგლისის მფარველობას კი არა—მის დახმარებას მოითხოვს.

ბერლინში, შარლოტენბურგის სადგურზე ინგლისის სამხედრო მისიის წევრს ლეიტენანტ სპირმენს თავს დაესხენ ყაჩაღები იმ დროს, როდესაც იგი დანციგის მატარებლის საწოლ ვაგონში გადადიოდა. სპირმენს თავში დაჰკრეს. მან რამდენიმე წუთით გრძნობა დაჰკარგა, მაგრამ მალე მან შესძლო ისევ სასტუმროში დაბრუნება. თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ და ბერლინის პოლიციის უფროსმა ინგლისის სამხედრო მისიის თავმჯდომარეს ამ მოვლენის შესახებ თავის მწუხარება განუცხადეს.

სოციალისტურ უმეტესობის პარტიის ბერლინის განყოფილებამ მრავალ რიცხოვან კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრ ნოსკეს გადადგომის მოთხოვნის შესახებ, ნოსკეს მარლოს საქმეში მოქმედებისა და ჯარის დაცვის საქმეში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა გამო. ნოსკე თავს იმართლებდა და ამბობდა: კრიტიკოსები არ ღებულობენ მხედველობაში იმ სიძნელეთ, რომელნიც მას ხვდებოდა წინ თავის მოვალეობის ასრულების დროს. დაბნეული გერმანიის ხალხი, რომელსაც სათანადო წინამძღოლები არა ყავდა, რევოლიუციაში ეძებდა გამოსავალს, მაგრამ იმედი დაკარგა, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ჭეშმარიტი სოციალისტური წესწყობილების დამყარება. როდესაც ნოსკე ბერლინში მიიწვიეს, მან აქ ნახა მხოლოდ 20,000 რევოლუციური ჯარის კაცი, რომლებიც ნებათ იყვნენ უფრო მთავრობის წინააღმდეგ ებრძოლათ, ვიდრე შეიარაღებულ მტრის წინააღმდეგ. ნოსკე თავს იმართლებს აგრეთვე კომუნისტთა წინააღმდეგ მიმართულ ენერგიულ ზომების ხმარებაში. მან განაცხადა: ჯარი არ იყო რეაქციონური, ოფიცრები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, კაპიტალისტურ წესწყობილების დაცვაში სრულებით არ იყვნენ დაინტერესებულნიო. მიტინგზე თითქმის ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ნოსკეს დათხოვნას უარყოფდა.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი შალოია აღნუსხავს იტალიის უმთავრეს მოთხოვნილებებს: ადრიატიკის ზოგიერთ კუნძულზე იტალიის უფლების გამოცხადებას, დალმაციის სანაპიროს ნეიტრალურათ გამოცხადებას, ისტრიის ნახევარ კუნძულიც და ფიუმეს მიმდებარე ოლქის თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადებას. შალოია ამას უმატებს, რომ მოკავშირენი მზად არიან ამერიკის მოთხოვნილებათა ზოგიერთი წინადადება შესცვალონო.

ავსტრიის კანცლერი რენერი, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა, ავსტრიის ეროვნულ კრებაში მოხსენებით გამოვა.

დამოუკიდებელ სოციალისტების ბერლინ-ბრანდენბურგის განყოფილების გუშინდელ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ლეიპციგის პარტიულ ყრილობის შესახებ. თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა კრისპენს, რომელმაც გილფერდინგისა და ლედებურის შემათანხმებელ პოზიციის წინააღმდეგ მედგრათ განაცხადა, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთო. თავმჯდომარემ მოიწონა აგრეთვე კრისპენის პროგრამა, რომელმაც მუშათა საბჭოების უფლების აღიარება მოითხოვა.

ლედებურის განცხადებამ, რომ ლეიპციგში მოსკოვთან შეერთების პრინციპმა გაიმარჯვა, კრებაზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: „დამოუკიდებელნი ებრძვიან კონტრ-რევოლიუციას არა როგორც სოციალისტურ უმეტესობის პარტიის მოკავშირენი, არამედ—განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურისათვის. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებდა დამოუკიდებელთა უკიდურეს ტენდენციებს.

იტალიის პარლამენტში მყოფმა სოციალისტებმა სასტიკად გაკიცხეს იტალიის საგარეო პოლიტიკის სრული დამარცხება, რომელიც განსაკუთრებით ნათლად ფიუმეს საკითხში გამოჩნდა. მათ უდიერათ მოიხსენიეს იტალიის მოკავშირენი, განსაკუთრებით კი ამერიკა, რომლის კაპიტალისტური მისწრაფებანი მიმართულია არა მარტო ფიუმესაკენ, არამედ ადრიატიკის ნაპირის კიდევ სხვა მნიშვნელოვან ნავთსადგურებისაკენაც. სოციალისტებმა მოითხოვეს იტალიის რესპუბლიკის აღიარება. სოციალისტ ორატორთა სიტყვების წარმოთქმის დროს მოისმოდა აღელვებული ხმები: „გაუმარჯოს რესპუბლიკას" და იმავე დროს არა სოციალისტები უპასუხებდენ: „გაუმარჯოს მეფესო". ნიტიმ სოციალისტებს ურჩია ზომიერება დაიცავით მოთხოვნილებების წამოყენების დროსო. ამ განცხადებამ საშინელი ხმაურობა გამოიწვია სოციალისტებს შორის. ძლიერი ტაშის ცემა გაისმა პარტიათა უმეტესობის მხრიდან მაშინ, როდესაც ნიტიმ თავისი სიტყვა ასე გაათავა: „მეფეს გაუმარჯოსო". ფიუმეს საკითხის შესახებ ნიტიმ სთქვა, რომ იტალიისათვის აქ საკითხის მორალურ მხარეს აქვს მნიშვნელობათ. ომის დაწყებამდე ფიუმეს საკითხი არ ყოფილა წამოყენებული, ახლა კი, საერთო კენჭის ყრის შემდეგ, ფიუმეს ხელს ვერ ახლებენ იტალიის მეზობლები. [illegible] ბაზე საკითხს მხარი 242—წინააღმდეგ 216, [illegible] მოწინააღმდეგეებზე მხოლოდ 26 ხმით მეტი მიიღეს.

შალოიას მოხსენებამ ვერავინ ვერ დააკმაყოფილა. გაზეთები აღნიშნავენ იტალია განცალკევებულია და იძულებულია თავის „მეგობართა" ხუმრობას სიცილით უპასუხოსო. კაბინეტის კრიზისმა, ალბათ, ჩაიარა ნიტის პასუხის შემდეგ სოციალისტებისადმი, რომლებმაც პარლამენტში ანტიმონარქიული დემონსტრაცია გამართეს. შემდეგი დამოკიდებულია კათოლიკების პარტიის პოზიციაზე. განსაკუთრებით, როდესაც 25 დეკემბერს დასმული იქნება მთავრობის ნდობის საკითხი.

### ფრანგული პრესის ცნობები

რუმინეთის პალატაში წარმოთქმულ გრძელ სიტყვაში ვაიდა ვოევოდამ აღნიშნა რუმინიისათვის ვერსალის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის საჭიროება, რათა სახელმწიფომ არ დაკარგოს ის, რაც მან დიდის მსხვერპლის გაღებით მოიგო და რათა ამით უზრუნველყოს მეგობრობა საფრანგეთსა, ინგლისსა, იტალიასა და ამერიკასთან, რომლებთანაც რუმინეთი ყოველთვის ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის.

გაზ. „პტი პარიზენს" მოყავს შემდეგი ცნობა ბელგიასთან ინგლისსა და საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ: ბელგიას აღარ სურს ნეიტრალობა, რომელიც 1839 წლის ხელშეკრულებით იყო დადებული. იგი თავდაცვის მიზნით ელტვის სამხედრო კავშირს საფრანგეთსა და ინგლისთან, რომლებიც 1914 წელში მას დაეხმარენ და თავის გამარჯვებით ბელგიის სრული დამოუკიდებლობა აღადგინეს. საფრანგეთისა და ინგლისის მხრივ ბელგია სასურველ კეთილგანწყობილებას პოულობს. ინგლისის დიპლომატებმა გამოიმუშავეს პროექტი, რომლის ძალითაც ინგლისი ბელგიას 5 წლის განმავლობაში დახმარების გარანტიას აძლევს. ეს ვადა საჭ როა იმიტომ, რომ შესაძლებლობა ვიქონიოთ ეროვნებათა ლიგის მუშაობის ნაყოფიერებაზე ვიმსჯელოდ მცირე სახელმწიფოთა დაცვის თვალსაზრისით. მაგრამ ეხლა ამ პროექტს თავი დაანებეს. პარიზი და ლონდონი ერთად მუშაობენ, რომ მოსძებნონ გამოსავალი, რომელიც ბელგიის მისწრაფებებს სავსებით დააკმაყოფილებს.

## უკანასკნელი ცნობები

### სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია

ბაქოს გაზეთების გადმოცემით: სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის მეორე და უკანასკნელი სხდომა შესდგა 21 დეკემბერს მ. არუთიუნიანის თავმჯდომარეობით. სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოახსენა კონფერენციას, რომ ადერბეიჯანის დელეგაციამ წამოაყენა საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც დელეგაციის აზრით, უფრო შესძლებს ყველა დიდ მნიშვნელოვან ტერიტორიალურ და ეკონომიურ საკითხების მოგვარებას. სომხეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი პრინციპიალურათ ეთანხმება აღძრულ საკითხს; მაგრამ რადგანაც დელეგაციას არა აქვს უფლება თავის მთავრობისაგან ასეთი ფართე ხასიათის საკითხების გადაჭრისა,—იგი მოითხოვს შეწყვეტილ იქნეს დროებით კონფერენციის მუშაობა, რათა საშუალება მიეცეს მას მოელაპარაკოს ამის შესახებ თავის მთავრობას. ამრიგათ, კონფერენციის მუშაობა შეწყდა და განახლდება ის თფილისში, სადაც კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოც. ბაქოში მუშაობის დასრულებისას კონფერენცია ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ ამიერიდან სომხეთი და ადერბეიჯანი შეურყეველათ დაიცავენ 23 ნოემბრის აქტს, სადაც საკითხებს გადასჭრიან არა იარაღით, არამედ—მშვიდობიანის გზით.

## ახალი ამბები

ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მიმართა ადგილობრივ ერობებს, რათა ამ უკანასკნელებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, რამდენათ საჭიროა და რა სახის უნდა იქნეს სახელმწიფო მართველობის სრულიად ძირითადი საფეხური, სახელდობრ, სოფლის ორგანიზაცია. კომიტეტი სთხოვს საერობო მოღვაწეებს პრესაშიდაც გააშუქონ ეს საკითხი.

-ª- პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა შემდეგის განცხადებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს: „როგორც მოგეხსენებათ, ამ ერთი თვის წინათ დაიწვა ფაბრიკა „მირი" და 200 მდე მუშა უალაგოთ დარჩა, თუმცა ფაბრიკის მმართველობა დღემდე შედიოდა მუშების მდგომარეობაში

და აძლევდა მათ სამუშაო ქირას. მაგრამ ეს შეუძლებელია ასე გაგრძელდეს და თუ ფაბრიკის ნორმალური მუშაობის აღსადგენათ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული, შესაძლებელია მუშები ულუკმა-პუროთ დარჩენ სრულიად. სეკრეტარიატმა ამ საქმის შესახებ უკვე მიმართა შრომის და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებს, მაგრამ მათგან დღემდე არავითარი გადაჭრილი გადაწყვეტილება არ მიუღია. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი გთხოვს თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს დააჩქარებინოთ ამ საკითხის გადაჭრა, რომ მუშებს საშუალება მიეცეთ პატიოსანის შრომით შეიძინონ თავიანთი სარჩო. ამასთანავე სეკრეტარიატი გზავნის თქვენთან საქმის დაწვრილებით გასაცნობათ თავის დელეგატებს".

✦ **სომეხი ლტოლვილნი.** სომხეთის მზრუნველობის მინისტრმა თავის წარმომადგენელს საქართველოში წინადადება მისცა შეამოკლოს ლტოლვილთა განყოფილების შტატი, ვინაიდან ყველა ლტოლვილები ახლი ხანში გაიგზავნებიან საქართველოდან სომხეთშიო.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ:** უკანასკნელ დღეებში ადერბეიჯანის სანაპიროზე მდგომ ჯარის ნაწილებიდგან ცნობები მოდის, რომ ადერბეიჯანის მოქალაქენი გადმოდიან და ხნავენ ჩვენი გლეხების მიწებს. ხელს უშლიან ჩვენი გლეხების მუშაობას, იჭერენ მათ და მიყავთ ტყვეთ, იტაცებენ ოთხ ფეხ საქონელს, სამეურნეო იარაღებს და თავს იმართლებენ იმით, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის ადმინისტრაცია ნებას აძლევს მათ ასე იმოქმედონო. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, იქ გაიგზავნება კომისია, რომელიც გამოარკვევს საქმის ვითარებას.

✦ **თელავის სამაზრო ერობას.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა დააპატიმროს შილდის საზოგადოების კომისარი და საკითხი აღძრას კანონის წესით მისი პასუხის გებაში მიცემის შესახებ. ხსენებულ კომისარს დახმარება არ აღმოუჩენია მის საკომისროში დამალულ დეზერტირების აღმოსაჩენად.

✦ **უფასო ტეხნიკური კურსები მუშებისათვის.** ჩვენმა რკინის გზის სამოსწავლო უწყებამ გახსნა ამ დღეებში უფასო ტეხნიკური კურსები რკინის გზის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებისთვის. კურსები მოთავსებულია დიდუბეში, მეხუთე რკინის გზის სასწავლებლის შენობაში და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. ტეხნიკური კურსები წინეთაც არსებობდა მას ინახავდა ტეხნიკური საზოგადოება. რადგანაც ეს უკანასკნელი რამოდენიმე ხანია დაიშალა და კურსების ხელმძღვანელი ინჟ. ლემანი თფილისიდან წავიდა, კურსებზედ მეცადინეობა შესწყდა და დაიხურა. რკინის გზის სამოსწავლო უწყების გამგე დ. ათაბეგმა იდვა თავს კურსების განახლება და მოაწყო კიდევაც. კურსების გამგეთ მოწვეულია ინჟენერი ძნელაძე.

✦ **დამფუძნებელი კრების** საბიუჯეტო-საფინანსო კომისია იხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ პროექტს საქართველოს და სომხეთის შორის ზონის მილიციის შტატის შემოღების შესახებ და მთავრობის თავმჯდომარის პროექტის დეკრეტისა მთავრობის საქმეთა მმართველობის 1919—1920 წლ. შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

✦ **თელავის მაზრის პროფესიონალურ** კავშირის პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებელ, დამფუძნებელ კრებას, ბრძოლაში ნაწრთობ დემოკრატიის ბელადს ნოე ჟორდანიას, რესპუბლიკის სალ კლდეს სახალხო გვარდიას და პროლეტარიატის კლასიური ინტერესების დამცველს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს დემოკრატიის სოლიდარული მუშაობა მას გამოიყვანს გამარჯვებულს საერთო ქარტეხილიდან და შორს არ არის დრო, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ხალხი დემოკრატიული გზით განახორციელებს სოციალიზმს. გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს.

✦ **მეცხვარე-მეხაქონლეთა ყრილობა.** იანვრის გასულს 1920 წელს, თფილისში შესდგება სრულიად საქართველოს მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობა. მომწვევ კომიტეტის პრეზიდიუმი 22 დეკემბერს წარუდგა მიწად მოქმედების მინისტრს ნ. ხომერიკს და მოახსენა მომავალ ყრილობაზე განსახილველ საკითხთა სია. ნ. მინისტრმა დიდის ყურადღებით მოუსმინა პრეზიდიუმს და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება. პრეზიდიუმმა უკვე რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. სხვათა შორის, 28 დეკემბერს ქ. სიღნაღში დანიშნულია წინასწარი კრება იქაური მეცხვარე-მესაქონლეთა, ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევათ და თფილისში საერთო ყრილობაზე წარსადგენათ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 ს. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: ცენტრალური განყოფილება: 1) ალიზაბაია „საქართველოს სიმდიდრენი" 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები". 1 განყ. (ნაძალადევი) 1) ანთაძე „საქართველოს ისტორია" 2) ექ. ტურიაშვილი „გიგიენა". 3 განყ. (ნაძალადევი) 1) მესხი „სამშობლოს აღწერა" 2) ექ. ცეცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე". 4 განყოფ. (ორთაჭალა) 1) შალამბერიძე „ქიმია" 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია".

✦ **სახელმწიფო თეატრში.** 25 დეკემბერს დაიდგმის ოპერა—„თქმულება შოთა რუსთაველზე", მუსიკა დ. არაყიშვილისა. 19 დეკემბრისთვის შეძენილი ბილეთები ივარგებს 25 დეკემბრისთვის, მხოლოდ უნდა წარადგინონ კასაში და შესაფერი ბლაგის თანახმად მოუხდებათ დამატება.

✦ **გამოვიდა გასაყიდათ** ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „ცისარტყელა". ფასი 15 მ. პროვინციის აგენტებმა და თბილისელ მყიდველებმა უნდა მიმართონ წიგნის მაღაზია „განათლებას" ოლღას ქუჩა, № 6. ჟურნალი დაურიგდება აგრეთვე რკინის გზის შკაფებს.

✦ **მწერალთა ხანგრძლივ კრება.** პარასკევს, 26 დეკემბერს, მწერალთა კავშირის საბჭო იწვევს „ქიმერიონში" (რუსთაველის, ყოფილი რესტორანი „ანნონა") „ქიმერიონის" გახსნის წინა დღეს თფილისში მყოფ მწერალთა კრებას. გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები. კრება დაიწყება საღამოს სრულ 7 საათზე.

✦ **დედობის და ბავშვთა** დაცვის საზოგადოება იწვევს ბავშვთა სახლის ხელმძღვანელს და საბავშვო ბაღის გამგეს—გამოცდილ პირთ. ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში, პეტრე დიდის ქუჩა, № 8, 10 საათიდან 2 საათამდე.

✦ **ფონდი.** მივიღეთ ვარლამ ჯაშისაგან 200 მანეთი გაზ. „ერთობის" სასარგებლოთ, მისი განსვენებული მეუღლის ასინეთის გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად.

მივიღეთ გრიგოლ გენძეხაძისაგან (წნორის წყლიდან*) ამხანაგებში შეგროვილი 1215 მ. 92 კაპ. დახოცილ გვარდიელთა და ჯარისკაცების ოჯახების სასარგებლოთ.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— 27 დეკემბერს მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ქალთა კომიტეტის და კოლექტივების კრება 5 ს. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

— დღეს, საღ. 6 ს., დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომაზე გაკეთებული იქნება მოხსენება ადგილებიდან, ამისათვის ყველა მცირე კოლექტივებისა და რაიონში მომუშავე მუშების წარმომადგენელთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, 25 დეკ. საღ. 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონულ კოლლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, საღ. 5 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— პარასკევს, 26 დეკ. საღ. 5 საათზე საკუთარ ბინაზე დანიშნულია საქ. ახ. მარქ. ორგ. ცეკასა და ხელმძღვანელთა კოლეგიის გაერთიანებული კრება.

— ხუთშაბათს, 25 დეკ. ნაშუადღევის 4 ს. შესდგება ჩვეულებრივი კრება ს. ს. დ. მ. პარტიის მე-7-დე რაიონის კოლექტივისა.

— კვირას 28 დეკემბერს დილის 10 საათზე წრის ბინაზე პლეხანოვის პრ. № 102 დანიშნულია საზოგადო კრება კ. ი. ზუბალაშვილის სახელ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრებისა.

# უცხოეთი

**რ უ ს ე თ ი**

მოხალისეთა ფრონტი. როსტოვისა და ყუბანის დენიკინელთა გაზეთები გულს არ იტეხენ და გამარჯვების იმედს ჯერ კიდევ არ ჰკარგავენ. გაზეთების სიტყვით, ახლო მომავალში დაიწყება ახალი გრანდიოზული ოპერაციები ახალი გეგმის მიხედვით, რომელმაც უნდა გამოასწოროს ფრონტის მდგომარეობა. ბოლშევიკების წინსვლას უკანასკნელ შემოტევათ სთვლიან, რომელსაც ბოლოს მოუღებს მათ ზურგში არსებული დაშლის პროცესი. ბოლშევიკების ამ უკანასკნელ თავდასხმის თავიდან აცილების შემდეგ, განაგრძობენ გაზეთები, ჩვენ შეძლება გვექნება შეუჩერებლათ გავსწიოთ მოსკოვისაკენო.

აჯანყება. მოხალისეების ცნობით ნიჟნი-ნოვგოროდში დიდი აჯანყება მომხდარა. აჯანყებულა ბოლშევიკების იარაღებისა და სხვა სამხედრო მასალების ცენტრალური საწყობი, საიდანაც იარაღს აწვდიდენ მთელი აღმოსავლეთის ფრონტს.

**ადერბეიჯანი.**

**პურის გატანა.** ადერბეიჯანის სხვადასხვა პროვინციებიდან, განსაკუთრებით ჯევატის მაზრიდან, პური გააქვთ. ამიტომ ბაქოს ქალაქის უფროსმა ცირკულიარული წინადადება გაუგზავნა ყველა მაზრების უფროსებს მოახდინონ სწრაფი და სასტიკი განკარგულება, რათა სავსებით აღკვეცილი იქნეს საზღვარ გარეთ პურის გატანა.

**ბაქოს ფინანსიური მდგომარეობა.** ჯამაგირების მიუღებლობის გამო ქალაქის მუშა-მოსამსახურენი აუწერელ მდგომარეობაში იმყოფებიან და სულს საოჯახო ნივთების გაყიდვით იბრუნებენ. ამავე დროს მთავრობა აგვიანებს გადაუხადოს ქალაქს ის 12 მილიონი მან., რომელიც მას ვალად ედება წყალის და სხ. სარგებლობისათვის. მთავრობის ახალ გეგმის თანახმად ქალაქისათვის საფუძო გადასახადიც არ არსებობს ფაქტიურად, როგორც შემოსავლის წყარო. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ფინანსიურ კრიზისს.

**დ ა ღ ე ს ტ ა ნ ი.**

**ნაძარცვი ნივთები.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში პეტროვსკისა და თემირ-ხან-შურის ბაზრებზე დენიკინელი აფიცრები და ჯარისკაცები ჰყიდიან დიდძალ ნაძარცვ საქონელს: ნოხებს, ქალის ტანისამოსებს, ძვირფას სამკაულებს და სხვადასხვა სახლის ავეჯეულობას, რაც მცხოვრებლებში აღელვებას იწვევს.

**გ ე რ მ ა ნ ი ა.**

**ფონ ლერსნერის განცხადება.** გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ-ლერსნერმა რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გერმანიის სურვილია დაჩქარებით შეიძინოს ძალაში საზავო ხელშეკრულება; მაგრამ ამასთანავე გერმანიას არ შეუძლია უსიტყვოთ მოაწეროს ხელი ოქმს, რომელიც არ ეთანხმება საზავო ხელშეკრულებას. ჩემი მთავრობის მიერ მოცემულ დირექტივების თანახმად, დასძინა ლერსნერმა, მე მხოლოდ მაშინ შემიძლია მოვაწერო ხელი ოქმს, თუ მისგან ამოშლილი იქნება უკანასკნელი ფრაზა, რომელიც ნებას აძლევს მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შეესიონ გერმანიას, თუ მათ გერმანიის პოლიტიკა არ მოეწონათო.

**ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.**

**პრეზიდენტის არჩევნებისათვის.** პრეზიდენტ პუანკარემ განაცხადა, რომ მას არ უნდა განაახლოს თავისი მანდატი. მისი სიტყვით 2 თებერვალს, როდესაც მისი პრეზიდენტობის ვადა გადის, იგი დაბრუნდება ისევ სენატში, სადაც უბრალო წარმომადგენელი იქნება დეპარტამენტ ვერდენისა. მის ალაგას კლემანსოს ასახელებდენ; მაგრამ მას განუცხადებია, თითქოს პირს სრულიად ჩამოცილდეს პოლიტიკურ ცხოვრებას. თუ კლემანსომ პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა, მაშინ ფიქრობენ, რომ პრეზიდენტათ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე—დეშანელი იქნება.

**გერმანიის სამხედრო ფლოტი.** გერმანიის სამხედრო ფლოტი შემდეგნაირათ იქნება განაწილებული: 70 პროც. ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას 10 პროც. თვითოეულს, იაპონიას 8 პროც., შეერთებულ შტატებს დანარჩენი 2 პროცენტი.

# ცხინვალის რაიონში

(დღიურები).

5 დეკემბერი.

დილის 8 საათზე პოდპ. ჩხეიძე მარცხნით წავიდა—ყორნისის რაიონისაკენ. მას თან ახლა ქვევითი გუნდები, ცხენოსანთა დივიზიონის ნაწილი და ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. ყორნისის რაიონი მდებარეობს ცხინვალის მარცხნივ მთებში, იმერეთის საზღვრებთან კორბოულის გადმოღმით, იწყება ცხინვალიდან და მიდის მთავარ ოსეთის მთებამდი. ეს რაიონი ცნობილია „ბოლშევიკურ" რაიონათ და უკანასკნელი მოძრაობის დროს იქ იმართებოდა კრებები, იყო სამხედრო მოძრაობა და ხაშურში წამსვლელ მოხალისეთა მობილიზაციას აშკარათ ახდენდენ ცხენოსანი მოციქულები.

ამავე დროს გავიდა ქართლის გვარდიის ბატალიონი ედიშერაშვილის ხელმძღვანელობით, ცხენოსან დივიზიონით, სხვა და სხვა ნაწილებით ცენტრალური მიმართულებით და ლიახვის ხეობით გაემართა ჯავისაკენ. დილა წყნარი იყო და ჯარისა და გვარდიის მსვლელობაც ჩვეულებრივ დინჯათ მიმდინარეობდა.

თვით ცხინვალში და ახლო მახლო რაიონებში დაიწყო გაცხარება, საერთო მოძრაობა. ცხინვალი გამოცოცხლდა. ტყვეობაში ჩავარდნილმა გამოიღვიძა, ადმინისტრაცია მოქმედებას შეუდგა და ერთგვარი გარდატეხა მოხდა...

დილიდანვე დაიწყო ადგილობრივი გვარდიელების მოსვლა. ყოველი მხრიდან მოდიან სოფლელები, მოწინავენი და მოითხოვენ მიიღონ გვარდიაში, ჩასწერონ და ესენიც წაიყვანონ.

ცხინვალში „ბოლშევიკური" მოძრაობა დიდი ხანია დაიწყო. ამას ხელს უწყობდა ცხინვალის განსაკუთრებული პირობები. ცხინვალი ქართლისათვის სავაჭრო ცენტრია, გაცვლა-გამოცვლის, აღებმიცემობის ადგილია. ცხინვალში ცხოვრობენ ქართველები, ოსები, სომხები, ებრაელები. ცხინვალი წინეთ მოციქული იყო, შუამავალი ქალაქსა და მთას შორის.

რევოლიუციის დღიდან იგი, თუ შეიძლება აგრე ითქვას, ერთგვარი პოლიტიკური მაჭანკალი გახდა და იქ თავი მოიყარა ოსის ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ თავის ზრახვებით, სომხის ვაჭრებმა თავისი ინტერესებით, საქართველოს დემოკრატიამ დემოკრატიული ტრადიციებით, მოთხოვნილებით.

დემოკრატიის ძლიერება მოწინააღმდეგეთა ძალამ დაჩრდილა, ჩრდილოეთის (ოსეთის) იდეებმა თავისი ბაზარი სომხეთში იპოვა, შინაგანი წინააღმდეგობა მას დაეხმარა, ხალხის სიძნელემ ფიზიკური ძალით დააჯილდოვა მათი მიმდინარეობა და ყველა მიმდინარეობა, გარდა დემოკრატიისა, აერთიანდა საქართველოს რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა ბანაკში და ეს მოძრაობა დაიწყო „ბოლშევიზმის" დროშით, „ბოლშევიზმში" ჰპოვა მან განსახიერება. ჩრდილოეთიდან მობრძანებული დენიკინელი, თფილისიდან აბარგებული „ბოლშევიკი", არაგვეთიდან გამოქცეული ყაჩაღი, ხაშურიდან განდევნილი ქურდი, ადგილობრივი ნაციონალისტი და ვაჭარი „ბოლშევიკებათ" გამოცხადდენ და იწყეს ცხინვალის რაიონში თარეში. ყველას თავიანთი საქმე ჰქონდა, თავიანთი ბოროტება, საკუთარი გზები, მხოლოდ ყველას ერთი მთავარი პროგრამა და მიზანი—საქართველოს რესპუბლიკის დამარცხება. მშრომელი ხალხიც კი მათი ავანტიურის მსხვერპლი გახდა...

ორი წელია ცხინვალი შავ ბურუსს მოუცავს. ორი წელია გაუწმენდელია, იქ დაბუდებულა რესპუბლიკის საფრთხე...

ამას აშკარათ ამბობს ცხინვალის თანამედროვე სახე და საქმიანობა და ამას ამტკიცებს მისი შინაგანი ურთი-ერთობა.

თვით გიმნაზიიდანაც კი, რომელიც აქ არსებობს, გადევნილია სახელმწიფო ენა. გიმნაზია, რომელიც დღემდის ინახება სახელმწიფოს ხარჯით, სხვის ინტერესებს ემსახურება და ასეა ყველგან.

თვით ჩვენი ამხანაგი ოსები, საქართველოს რესპუბლიკის ჭეშმარიტი დამცველები მოღალატეებათ არიან გამოცხადებულნი, მათ სდევნიან...

გორის ბატალიონი ღამის 8 საათზე შევიდა ჯავაში. პირველათ ჯარის შესვლამ პანიკა გამოიწვია. გზა და გზა სოფლებში ხალხი აღარ სჩანდა. თვით ჯავაში ჯარს მოხუცებულები შეეგებენ პურ-მარილით. შეიარაღებული ბანდები, ახალგაზდები და მეთაურები ზევით მთებში და ტყეებში გაიხიზნენ. ჯარის შესვლის წინ ჯავაში დიდი ყრილობა ყოფილიყო ამ ყრილობას მოძრაობის მეთაურები,—„ბოლშევიკები" აღარ დასწრებოდენ. ყრილობა ხალხის იყო. ყრილობამ დაადგინა მთავრობის მოთხოვნილების ასრულება, მიუხედავათ ამისა ჯარის შესვლას შიში მოყვა. სოფლები დაიცალა.

**ჯ ა ვ ა შ ი.**

6 დეკემბერი.

ოსებით დასახლებული სამხრეთი ნაწილი დიდი რაიონია. იგი იწყება ცხინვალიდან. მას საზღვრავს ერთი მხრით იმერეთის მთები, რომელიც გაივლის სურამის ქედებით და მიდის რაჭის მთებამდის, ჩრდილოეთით კავკასიის მთები, თერგის ოლქი, სამხრეთ-აღმოსავლეთით დუშეთის ხეობები და გორით პატარა ლიახვის ხეობა. სამხრეთ ოსეთის ცენტრათ გამოცხადებულია ჯავის ხეობა, რომელიც ცხინვალიდან 25 ვერსით არის დაშორებული, გორიდან კი 55 ვერსით. ცხინვალიდან სამი მიმართულება აქვს. მარცხენა, რომელიც მიდის ჩასავის ხეობაში, ე. ი. რაჭის საზღვრებამდე; მარჯვენა, ვანათ—ორთევით, პატარა ლიახვის ხეობით და მიდის როკამდის, ცენტრალური მიმართულება კი—დიდი ლიახვის ხეობით ჯავისაკენ.

როკა უკანასკნელი საზღვარია სამხრეთის. გორიდან 107 ვერსით არის დაშორებული. მდებარეობს კავკასიის მთებში სიხსის მაღლობების მარჯვნით და ჩრდილოეთ ოსეთის გადასასვლელ უღელტეხილებთან, რომლის სიმაღლე 10,600 ფუტია.

აღნიშნული მხარე ერთ საუცხოვო ლამაზ სანახაობას წარმოადგენს, მაღალი მთებით შემოსილი, აქ-იქ ტიტველი მინდორ გორაკები, მდინარეები, თოვლით მოსილი უღელტეხილები, ხეობები და ლამაზი სოფლები მგზავრზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ცხინვალიდან გაივლით რამოდენიმე ვერსს და იწყება დიდი ლიახვის ხეობა. მარჯვნივ და მარცხნივ ძველი ისტორიული ციხეები. მეცხრე ვერსზე გზა ვიწროვდება, ზევით იწევს და მიდიხარ ულრან მხარეებში. მარჯვნივ ლიახვი, მარცხნივ მაღალი სალი კლდეები დაგყურებს.

პაცას მაღლობიდან თვალწინ გეშლება თვალუწვდენელი, მშვენიერი, ირგვლივ მთებით გარშემორტყმული, სოფლებით, ჯავის ხეობა, რომელსაც თავს მრისხანეთ დაჰყურებს კავკასიონის მწვერვალი—ზიკარის მაღლობი, რომლის სიმაღლე 12,560 ფუტია. ხეობა გარშემო გათეთრებულია თოვლით.

უახლოვდები ჯავას. მაღლობებში მთიური სოფლები. გზაში ლამაზი საფლავები, გადაგრეხილი ტყეები და შედიხართ ჯავში. ჯავიდან ხეობა მიდის როკისაკენ. იგი თანდათან ვიწროვდება და შემდეგ კავკასიონის უდაბურ მთებში იკარგება.

ჯავა თავისი მდებარეობით, ჰავით, ჰაერის ზომიერებით საგარაკო ადგილია. თვით ხეობის მიმართულებას ქარი არ ებრძვის, წყნარია. ამას ხელს უწყობს როკის სამკურნალო წყლები და ფიჭვნაძვნართა ტყეები, რომელიც იწყება ზემო ჯავიდან და მიდის როკისაკენ.

ხალხი მთა ოსეთში ჯანსაღია, სრულიად განსხვავდება ბარის ხალხისაგან. მთა ოსეთის რაიონები უმთავრესათ განიცდიან მიწის სივიწროვეს. მართალია, მიწა-ადგილი ბევრია მაგრამ მთა გორები მოსავალს არ იძლევა. სამეურნეოთ მისდევენ ხე-ტყის დამუშავებას, მეჯოგეობას და განსაკუთრებით ცხვრის მოშენებას. ამ მხრით სამხრეთ ოსეთი ცნობილია ეგრეთ წოდებულ „ოსური ყველებით" და იქაური ნაწარმოები მოტანილი ჰქონდათ წინეთ ჩრდილოეთ კავკასიაში, ცხინვალში და ამ უკანასკნელიდან ამიერ-კავკასიაში და საქართველოში.

ძველათ ოსებში ძალზე განვითარებული იყო ყაჩაღობა. მგზავრები გზებში ვერ გაივლიდენ რომ, რაიმე უბედურობა არ შემთხვევოდათ. ყაჩაღობა უკანასკნელ წლებში შემცირდა, რაც აიხსნება შემდეგი მოვლენით: გარეშეებმა კავშირი შესწყვიტეს ოსეთთან და თვით მთელი მთა ოსეთი ერთგვარ მიუვალ კუთხეთ იქცა.

მთა ოსებში თითქმის დარჩენილა ძველი საზოგადოებრივი წესები, ძველი თემური ადათები. ცრუ მორწმუნეობა, კუსტარული წარმოება და სხვა.

მთა ოსეთს ერთი განსაზღვრული ისტორიული თვისება ახასიათებს.

ეს შემდეგია:

მიწის სივიწროვე, საერთო მდგომარეობა ეკონომიურ ურთიერთობისაგან გამოწვეული დიდ ნაწილ ოსებისას მიერეკებოდა ბედის საძებნელათ უცხო მხარეებში. ინტელიგენცია მიდიოდა პოლიციაში ჩინოვნიკებათ, ბოქაულებათ, ჯარში პრაპორშჩიკებათ, სოფლებში „სტრაჟნიკებათ", „გოროდოვებათ" და მუშებათ.

ისინი, ვინც ქალაქებში მუშებათ მოხვდენ, სოფლებს აღარ დაუბრუნდებიან. ისინი კი, ვინც ძველი წესწყობილების ჩინოვნიკები, აფიცრები და უბრალო „სტრაჟნიკ - გოროდოვები" იყვნენ, დიდი რევოლიუციის დღიდან სოფლებს მოაწყდენ და სამხრეთ-ჩრდილოეთში მოიკალათეს.

საერთო პირობებთან მათ იპოვნეს შესაფერი ენა და რევოლიუციიდან იწყება სამხრეთ ოსეთის გადასხვაფერებული ეპოქა, ახალი, მხოლოდ ტრაგიკული მომენტებით სავსე. ჩრდილოეთ ოსეთის რყევა, რომ ხან ის „ბოლშევიკების" და ხან დენიკინის დროშის ქვეშაა, აიხსნება იმისი სოციალურ ეკონომიურ და ნაციონალურ მდგომარეობით და ჩვენშიაც მათ მოძრაობას იგივე მოტივები ქმნიან. ცნობები და გამორკვევა ჩვენ აშკარათ გვიმტკიცებს, რომ მთა ოსეთიდან ოსების გადმოსახლება, თუმცა ნელი პროცესით, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეს მიმდინარეობაში განვითარდა და ეს განვითარება ხუვნობდა ცხოვრების აუცილებლობით, აღნიშნულ მიზეზებით.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე მთა ოსეთის ხალხი რომელიც განსაზღვრულ პირობების გამო შევიწროვებული იყო, პროვოკაციის ქსელში გაეხვია და რევოლიუციის მიერ განდევნილ წრეს დამორჩილდა.

ახალ მოსული ძალები ოსეთს მხსნელათ მოევლინა. მიწა, თავისუფლება, ხალხის ყოველ მხრივ უზრუნველყოფა, გაერთიანება, პური, ღვინო, ყველაფერი მათ დროშას დააწერეს და მოძრაობა საინიციატივოთ „ბოლშევიზმმა" აიღო.

ჩამორჩენილი მთები „ბოლშევიკურ"-კომუნისტურ მოძრაობის სარბიელად იქცა. უვიცი, საწყალი ხალხი, სოციალისტურ რევოლიუციის ავანგარდათ გამოაცხადეს.

და ეს მოძრაობა იწყება გასულ წელს ცხინვალის ტრაგედიით. ამ მოძრაობას კავშირი ჰქონდა ჩრდილოეთში შოვინისტურ ნაციონალიზმთან, რეაქციასთან. ვლადიკავკაზში ფ. მახარაძის, ქავთარაძის „ბოლშევიკურ" შტაბთან და თფილისის კომუნისტთა საოლქო კომიტეტთან. ყველა კი დუშეთში, ჯავაში [illegible] ხელს.

გასულ წელს „ბოლშევიზმმა" გაერთიანა მთელი [illegible] დემოკრატიული ძალები და [illegible] ლი - წლის გეგმა იყო [illegible] თფილისის [illegible] გორის, ჯავა-ჩასავით — საჩხერე [illegible] თურა—შორაპანის და ასე. ამ პლანის განსახორციელებლათ ბრძოლა დაიწყეს, სისხლი დაიღვარა, მსხვერპლი შეეწირა, თუმცა დამარცხდენ, მაგრამ მოძრაობა სავსებით არ იქნა აღმოფხვრილი.

გასული წლის დიდ მოძრაობის შემდეგ დამარცხებულმა ძალებმა თავი მოიყვრეს ოსეთის ნაციონალურ საბჭოში და ეს საბჭო, ლეგალურათ დაარსებული, იქცა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა ბუდით. შიგ თავმოყრილი ავანტიურისტები ოსი ხალხის სახელით ბრძოლას უცხადებდენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამ საბჭოს მოქმედება იყო მიმართული ოსი ხალხის წინააღმდეგ. ამავე საბჭომ ოს ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია. [illegible] დააყენა საბედისწერო გზაზე და ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის წინაშე ჩადიოდა პოლიტიკურ დანაშაულობას. ნათქვამის დასახასიათებლად საკმარისია მათი „ისტორიულ" მოღვაწეობიდან მკითხველებს გავაცნოთ შემდეგი ფაქტი: იმ დროს, როცა საქართველო-სომხეთის ომი დაიწყო, როცა საქართველოს წინაშე საფრთხე აღიმართა, მაშინ განკარგულება მოახდინეს, არც ერთი შეიარაღებული, არც ერთი ჯარისკაცი საქართველოს ჯარში არ გამოცხადდესო.

მთა ოსეთში იყო მცირე ნაწილი ინტელიგენციისა, მოწინავე სოფლელებისა, მაგრამ ესენი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დააშინა ტერორმა. ისინი მოღალატეებათ გამოაცხადეს და პროვოკაციამ თავისი გაიტანა.

მიმდინარე მოძრაობაში ჯავის რაიონი, იმ დროს, როცა ბრძოლა დაიწყო ქართლის ზოგიერთ რაიონებში, მზადებაში იყო. ემზადებოდა არა მთელი ოსობა, არამედ—მისი ნაწილი და ყველა ის ელემენტები, რომლებიც წინააღმდეგ ჩვენი რესპუბლიკისა იყვნენ განწყობილნი.

თემების ხმა კი ასეთი იყო: ჩვენც თქვენთან.

ირკვევა, რომ ჯავაში დადიოდენ უცხო ელემენტები, იმართებოდა შეკრებილებული სამობილიზაციო კრებები. უცხო პირები ბინადრობდენ დიდი ხნით და თავიანთ საქმეს აკეთებდენ.

**თბილი მგზავრი.**

# გვარდიის დღე

**პროვინციაში.**

**სამეგრელო.** სამეგრელოს ს. დ. კომიტეტმა წინასწარ გაანაწილა თავისი ძალები, დაგზავნა სოფლად პროპაგანდისტ-აგიტატორები. სასწავლებლები და საზოგადო დაწესებულებები ყველგან დაიკეტა—სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი დილიდანვე მიეშურებოდა დროშებით დანიშნულ ადგილას. შუადღის პირველ—ორ საათზე გვარდიელთა ბრწყინვალე ალლუმი (პარადი) მოხდა, ხალხი ქუდმოხდილი, ვაშას ძახილით ეგებება... შემდეგ ორატორები უხსნიან ზღვა ხალხს დღესასწაულის სიდიადეს, გვარდიის დამსახურებას ხალხის წინაშე.. ხალხი დიდი კმაყოფილებით რჩება თავის საამაყო გვარდიელებით, რომლებიც მათი ბელადების სიტყვით ფიცს სდებენ ზვარაკათ შეეწირონ თავისუფლებას. გიხარია, სტკბები და იხილავ უკვე ტკბილად იგონებენ, რომ ეს ის მებრძოლებია, რომლებიც ერის დროშას ალმაცერად უცქეროდენ გვარდიას—კრიზისი გადატანილია, სამეგრელოს გვარდია ამიერიდან მხარს დაუმშვენებს თავის მოძმეებს. ყველაზე მეტი გვარდიელები არიან აბაშის რაიონში. იქაურ დღესასწაულსაც სამი ათას სულზე მეტი ქალი და კაცი დაესწრო.

**ხუმარი.**

# სამეურნეო ჟურნალისათვის.

სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა პირველ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე 9 დეკემბერს, ამა წელს, დაადგინა, რომ მიემართოს ყველა იმათ, ვისაც დახმარება ეთხოვა, რომ გადადებული ფული გამოგზავნონ კომიტეტის ხაზინადარის აგრონომ ი. ზ. ქურდიანის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელს დაევალა, რომ ჩამოიაროს ყველა ის დაწესებულებები, რომელნიც თფილისში იმყოფებიან და მათგან პირადათ მიიღოს ფული.

---

საორგანიზაციო კომიტეტმა იმავე სხდომაზე დაადგინა, რომ ფულება მიეცეს კომიტეტის პრეზიდიუმს ყრილობამდის გამოსცეს სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის ორი ნომერი და ყრილობაზე

*) უადგილობის გამო შემომწირველთა სია არ იბეჭდება.

მუდმივ ჟურნალის გამოცემის შესახებ მოხსენებით გამოვიდეს.

---

პირველი ნომერი ჟურნალისა, რომელსაც სახელად ერქმევა „სასოფლო მეურნეობა“, განზრახულია გამოიცეს 1920 წლ. პირველ იანვრისათვის.

---

ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებული იქნება წერილები დაახლოვებით შემდეგ ავტორებისა: პროფ. ს. ავალიანისა, ს. ნ. ტიმოფეევისა, აგრონომების: დ. გედევანიშვილისა, ელ. კარბელაშვილისა, ი. ზ. ქურდიანისა, ი. ლომაურისა, გ. რცხილაძისა, ჩოლოყაშვილისა და სხვათა. ჟურნალს ექნება მუდმივი განყოფილებები: 1) მეთაური, სასოფლო მეურნეობის პოლიტიკის ძირითადი საკითხები, 2) წერილები აგრონომიულ დახმარების, სასოფლო სამეურნეო განათლების, სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმის და საორგანიზაციო საკითხებზე, 3) მთავრობის ერობების და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის დარგში, 4) საქართველოს სასოფლო მეურნეობის მიმოხილვა, 5) კოოპერაცია და სასოფლო მეურნეობა, 6) ახალი რამ სასოფლო მეურნეობის ტეხნიკიდან, 7) ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

## სენაკის სამაზრო ერობის ხმოს. მესამე ყრილობა

(დასასრული).

**დადგენილებანი.** აზრთა გაცვლა გამოცვლისა და საქმიანი კამათის შემდეგ, სანიტარული გადასახადის შემოღების შესახებ ყრილობამ მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი გეგმა: მაზრას გაეწეროს სამი მილიონი მანეთი (კომლზე 150 მან.) და ეს თანხა სავსებით მოხმარდეს მაზრაში სრულიად უფასო ექიმობის შემოღებას, გამრავლდეს ექიმების რიცხვი, საფერშლო პუნქტები და მასთან სამ ადგილას მაინც აიგო აბანო.

მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი დამშეულია, ყრილობა მაინც ღრმათ არის დარწმუნებული, რომ ხალხი, რომელმაც უკვე იცის თუ რა არის უფასო ექიმობა, ამ გადასახადს სიამოვნებით გაიღებს.

**ხეხხი.** ყრილობამ დაუდასტურა გამგეობას 10 მილიონ სესხიდან მიიღოს თავის ხვედრი და გარდა ამისა, სასურსათო ოპერაციებისათვის კიდევ ცალკე გამოითხოვოს მილიონზე მეტი.

**ბანკის დაარსება.** ყრილობამ ერთხმად მოიწონა საერობო ბანკის დაარსების საკითხი და დაავალა გამგეობას ადრე მოაგვაროს ეს ფრიად საჭირო საქმე. ბანკს დასჭირდება სამი მილიონი, რომლის ნახევარ აქციებს შეიძენს თვით ერობა. ყველა ერობა (სამაზრო) კი შევა წევრად ერთ ცენტრად საერობო ბანკში.

**იხტორიული ხხდომა.** მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობას ერობის საკუთრებად შეუძენია და დაუმტკიცებია გამგეობისათვის ორ სართულიანი დიდი შენობა, მაგრამ მას უკადურესათ ესაჭიროება განზრახული სახალხო სახლისათვის თავისუფალი მიწა. საჭიროა შენობა და მიწა საოსტატო სემინარიისთვის, მილიციისათვის, სახელოსნოსა და საწყობებისათვის, აბანოსთვის და თავლისათვის. გამგეობა ადგილებისა და სახლების არჩევას დიდის სიფრთხილით, დიდის წინდახედულობით შესდგომია და აურჩევია შესაფერი და ამავე დროს ისეთები, რომელთა ჩამორთმევა (კანონის ყოველივე წვრილმანი მუხლების დაცვით) მეპატრონეებს დიდ ზიანს არ მოუტანს, არ გაანადგურებს, სახალხო და საშვილიშვილო საქმეს კი მკვიდრ ნიადაგზე დაამყარებს. გამგეობა ყრილობას სთხოვს დაუდასტუროს დასახელებულ შენობებისა და მიწის ჩამორთმევა არსებული კანონის თანახმად. ყრილობას აუარება გარეშე ხალხი ესწრება ბევრი უადგილობის გამო დარბაზ გარეთ არიან. ხმოსნები და გარეშე ხალხი გამგეობის დასაბუთებულ მოთხოვნილებას ერთსულოვანი ტაშით უდასტურებენ. ხალხი აღტაცებულია, აქ-იქ გაიგონებ: ბალშევიკები ყოველივეს ამტვრევენ, ანადგურებენ, აქ კი ბრძნულად სწყვეტენ ყოველივეს. ხალხის საკეთილდღეო საქმეს პირადი ყოველთვის უნდა ენაცვალოს. დიდ აღშფოთებას იწვევს ვიღაც ერთი ახალ გამოჩეკილი სპეკულიანტის მახინაციები. ყრილობა ერთხმად ადგენს, რომ ის პასუხისგებაში იქნას მიცემული. ხსენებულ ვაჟბატონს ექვსი თვის გაქნილობით თითქმის მთელი სენაკის ნახევარი ჩაუგდია ხელში და მას რომ ერთი სახლი ფასით ჩამოართვან, ამასაც არ სჯერდება და ყოველივე აბლაკატური ხრიკებით ცდილობს თავი დაიძვრინოს.

**ცხენის წყალი.** ხმოსნები გ ბოკერია და მიქაძე ყრილობას უსურათებენ თუ რა სასიშროება მოელის აღმოსავლეთ სამეგრელოს და რკინის გზას ცხენის წყლის ხეტიალისა და გიჟმაჟობის გამო. გამგეობაც ამასვე ადასტურებს, მაგრამ აღიარებს, რომ სენაკის ერობა მოხუც მოხეტიალე მდინარეს ვერ ჩააგდებს თავის კალაპოტში და ეს მთავრობის საქმეაო. არჩეულ იქნა კომისია, რომელიც დამფუძნებელ კრების წინაშე სათანადო შუამდგომლობას აღძრავს.

**ხარჯთ აღრიცხვა.** მომავალი 1920 წლის შემოსავალი გამგეობას ნავარაუდევი აქვს 53,0000,000 მ. გასავალიც ამაზეა შეფარდებული, ყველაზე მეტი დათმობილი აქვს სწავლა-განათლებას (შვიდ მილიონამდე), თითქმის ამდენივე ექიმობას, 4 მილიონი გზას, 3 მილიონი ეკონომიურ ღონისძიებებს და სხ.

ყრილობამ მოსამსახურეებსაც მიუმატა ჯამაგირი იმდენი, რომ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი კმაყოფილი დარჩა.

**შეკითხვები.** მიუხედავათ იმისა, რომ ყრილობას ერთსულოვნება და საქმიანობა ახასიათებდა, „შემკითხველთა“ პარტიამ (სოც. ფედ. და სოც. რევ.) მაინც იჯერეს გული—შეეკითხნენ გამგეობას შაქრის გაყიდვისა და ერთი მასწავლებლის დათხოვის გამო, მაგრამ მათი შეკითხვა იმდენზე აბსურდული და დაუსაბუთებელი დარჩა, რომ თვით მათ ბანაკშიაც (პასუხის შემდეგ) თანამგრძნობი ნაკლებათ დაურჩა—ყრილობამ გამგეობის მოქმედება უპრიანად იცნო.

ყრილობა ექვსი დღის მუშაობის შემდეგ დაიშალა.

**შთაბეჭდილება.** როცა თვალით ხედავ ნორჩი ერობის გაკეთებულ საქმეს, როცა თვით რწმუნდები თუ როგორი ნდობა მოუპოვებია მას ხალხში, გული სიამით გევსება და ამბობ: გმირ ამირანს ჯაჭვი გაუწყვეტია, ამირანიც ხომ დემოკრატი იყო, არ სწამდა ბატონი—ღმერთი, დემოკრატიაც ამტკიცებს, რომ მას ხელ ფეხს უბორკავდა თვითმპყრობელობის არტახი, თორემ თამამად შეუძლია უპეკუნოდ თავის მოვლა. სენაკის ერობის ერთი წლის მოღვაწეობა ამისი ფაქტია. ჩვენ გვარწმუნებდენ ერობისათვის ვერც კაცებს (გამგეობის წევრებს) იშოვით და არც ხალხი სჯამისოთ მომზადებულიო. ყველა ეს ტყუილი გამოდგა. გამგეობის გამოუცდელმა წევრებმა, პრაქტიკის უქონლებმა შესძლეს ის, რაც საუკუნოებში ვერ შესძლო ბიუროკრატიულმა მთავრობამ: მოაწყვეს და გახსნეს ახალი სამკურნალოები, გახსნეს სკოლები, გააკეთეს ხუთი ახალი ხიდი (ისიც საუკუნო), გამოიმუშავეს სამოქმედო გეგმა. ყოველივე ეს შესძლო გამგეობის წევრების ერთსულოვნობამ, სოლიდარულმა მუშაობამ და მუყაითობამ. მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობაში სამივე მიმართულების (სოც. დემ. სოც ფედ. და სოც. რევ.) წევრებია, ისინი ერთმანეთში (ისე როგორც ბევრ ადგილას) არ კინკლაობენ, არამედ მეგობრულად ეწევიან საერთო ჭაპანს. აღსანიშნავია თვით ხმოსნების სიფხიზლეც: ხმოსნები ორ კატეგორიათ განიყოფება: ცენზიანი (ნასწავლები) და სოფლელი გლეხები, პარტიის ძველი მუშაკები. კამათში სოფლელები მეტ უნარს და საქმიანობას იჩენენ, ვიდრე დიპლომიანები. ენაც სოფლელების მეტი მკაფიო და გასაგებია, ისინი აწარმოებენ საქმიან, წრფელ კრიტიკას და არა ინტრიგას, შენ ჩემობას, კუთხურ პატრიოტობას ადგილი არ აქვს.

ვიცი ერობის მიერ გადადგმული ხალხის საკეთილდღეო ნაბიჯი—მიწისა და სახლის ჩამორთმევა, სპეკულიანტთა ბანაკში განგაშს ასტეხს. ვიცი დეპუტაციები დაიწყებენ მუშაობას; ვიცი ამას მტაცებლობას დაარქმევენ, ბალშევიკობა მოელანდებათ, მაგრამ ეგ არავის არ შეაშინებს და ბრძნულ გადაწყვეტილებას უკან არ წაალეპინებს—თუ სპეკულიანტებს არ მოსწონთ, ეს იმის მომასწავებელია, რომ ის გადაწყვეტილება ხალხის სასარგებლო ყოფილა და ვაი მას, ვისაც ხალხის რისხვა თავს დაატყდება...

ჩე—კოჩი.

## ს.-დ. პარტიაში

საქ. სოც.-დემ. მ. პ თფილისის კომიტეტი სთხოვს ამხანაგებს: კანკავილევანს და გიორგი სულაქველიძეს, რომლებიც მუშაობენ რკინის გზის საექსპლოატაციო განყოფილებაში და აგრეთვე რკინის გზის სამართველო დან—ლავრენტი ასათიანს, გამოცხადდენ პარასკევს, 26 ამ თვეს, სალამოს 3 საათზე, თფილისის კომიტეტში (რუსთაველის პროსპექტი № 24).

---

**ბორჯომი.** 18 დეკემბერს მოხდა ს. ს. დ მ. პ. კოლექტივის და დემოკრატიულ ორგანიზაციების ს.-დ. ფრაქციის წარმომადგენლების შეერთებული კრება.

გორის მაზრის დემოკრატიულ ყრილობიდან და ბორჯომის ერობიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შახნაზაროვი, რომელიც აღნიშნავს ერობის მუშაობას, რომელსაც ბევრი დაბრკოლებები ხვდება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ერობა თანდათან ხალხში სიმპატიას პოულობს, ცდილობს მიაწოდოს ხალხს სურსათი და ფართალი. მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა.

ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ბადრიძე, ის შეეხო დღევანდელ პარტიულ მუშაობას. მოისმინა რა კრებამ ცენტრალურ კომიტეტის წევრის ამხ. ი. ბადრიძის მოხსენება, პარტიულ მუშაობის შესახებ, იწონებს ცენტრალურ კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გეგმას. კოლექტივი თავის მხრივ ეცდება მხარი დაუჭიროს ცენტრალურ კომიტეტს გადადგმულ ნაბიჯებში და მთელი თავისი ენერგიით ეცდება პარტიული მუშაობის გაძლიერებას ცემის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს გ. კილენჯერიძე, ს. ახალ დაბიდან მოხსენებას აკეთებს ა. სირაძე. პროფ. კავშირების გაერთიანებაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ზაქრაძე. ის მოკლეთ აცნობს კრებას კომისიის მუშაობას. ამავე საკითხის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ბადრიძე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის მოგვარება იკისრა ცენტრალურმა პროფესიონალურმა საბჭომ, რომელიც იმოქმედებს ისე როგორც მოითხოვს პროფესიონალური კავშირის ინტერესებიო. კოოპერატივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ღლონტი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კოოპერატივის წევრებათ არიან ვაჭრებიც. მომხსენებელს არ მიაჩნია ეს სასურველად, რადგანაც ისინი ერთგვარი ხელის შემშლელები არიანო. კოლექტივი ავალებს გამგეობაში თავის ამხანაგებს, ყველა ვაჭრები გამორიცხონ კოოპერატივის წევრობიდან.

ადმინისტრაციიდან მოხსენებას აკეთებს მილიციის უფროსი ე. დევიძე, რომელიც კოლექტივმა ცნობათ მიიღო. სახალხო გვარდიის შტაბიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. ხუციშვილი, რომლის მოხსენებით კოლექტივი კმაყოფილი რჩება. ფრონტიდან დაბრუნებულ გვარდიელების შესახვედრათ კოლექტივმა ამოირჩია კომისიაში: დ. ანდღულაძე, კ. ტაბატაძე და ბიქტორ მაჰავარიანი, რომელთაც დაევალათ გაუმართონ 28 დეკემბერს დაბრუნებულ გვარდიელებს შესაფერი ცერემონია, რადგანაც 12 დეკემბერს გვარდიის დღის დღესასწაულის დროს გვარდიელები ფრონტზე იყვნენ.

კ. დინჯაძე.

## მუშათა შორის

**მთავარი ხახელოსნო.** 18 დეკემბერს სახელოსნოს პროფესიონალურ კავშირის სექციის მიერ მოწვეული იყო, საზოგადო კრება, რომელსაც მცირე ნაწილი წევრებისა დაესწრენ, მაგრამ რადგანაც ეს კრება მეორეთ იყო მოწვეული ჩაითვალა კანონიერათ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ა. ქუთნია, მდივნათ ამხ. ი. მამაცაშვილი. დღიურ წესრიგში იყო ორი საკითხი: 1) სექციის მოქმედების ანგარიში, 2) საქართველოს რკინის გზელთა მეორე დელეგატთა ყრილობის მუშაობა. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვასო ვაშაკიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეებს, თუ როგორ მძიმე და საპასუხისმგებლო პირობებში უხდებოდათ მუშაობა; სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვენი მუშების შეგნებულმა მოქმედებამ და სწორმა პოლიტიკამ, გაამაგრა ძირითადი ჩვენი ორგანიზაციები და ეს კი საძირკველი იყო უმაღლესი ჩვენი ორგანიზაციებისთვის და თუ რამე გავაკეთეთ და შევქმენით, ეს თქვენი წყალობით. მოხსენების შემდეგ, მცირე კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის და შეკითხვების შემდეგ, მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება საზოგადო კრებამ მთავარ სახელოსნოს სექციის მოქმედების შესახებ, ადასტურებს, რომ სექციას გაუკეთებია ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლათ და უცხადებს დაუღალავი მუშაობისათვის მადლობას.

მეორე საქ. სახ. რკინის გზელთა დელეგატთა სიეზდის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვასო სიხარულიძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ყველა საყურადღებო საკითხები, რომლებიც გაარჩია დელეგატთა ყრილობამ. იყო კამათი და შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. სხვათა შორის ილაპარაკა კომუნისტმა ვალ. ვაშაკიძემ და როგორც ჩვეულებრივ, გააკრიტიკა სიეზდის მუშაობა და სთქვა: სიეზდმა ვერც ერთი სერიოზული საკითხი ვერ გადასჭრა სასურველად და მიჰყო ხელი დემაგოგიას. მაგალითისთვის მოიყვანა სკოლების საკითხი და სთქვა, რომ სკოლა უფასო და საყოველთაო უნდა იყოსო, მაგრამ სამაგიეროთ ბავშები სკოლის გარეშე არიან დარჩენილები.

მუშების დახლვევაც სახელმწიფოს საქმეა, მაგრამ თქვენ კი მუშებს სამარხი კასა გაუსხენით და სწორედ კაი დროს უსწრო ამ კასამ, რადგან დრო დადგა მუშების დასამარებისაო. ბევრ კიდევ სხვა საკითხებს შეეხო, მაგრამ სამაგიეროთ ღირსეული პასუხი გასცა ვ. სიხარულიძემ, რომელმაც მიუთითა დიდი რუსეთის და ლენინის მიერ დამყარებულ სოციალიზმზედ რუსეთში და უთხრა: ტყუილია, მაგისთანა ფონდებით და ფრაზებით შევიძლიან იქ, საბჭოთა რუსეთში ფონს გახვიდეთ, მაგრამ აქ კი იმედები გაგიცრუვდებათ ისე, როგორც აქამდის გაგცრუვებიათო. კამათი დასრულდა და მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა სახელოსნოს საზოგადო კრებამ მოხსენება ამხ. ვ. სიხარულიძისა სახ. რკინის-გზელთა მეორე დელეგატთა ყრილობის მუშაობის შესახებ, მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლათ და ავალებს ც. კ. გაატაროს ცხოვრებაში სუყველა დავალებანი ყრილობისა.

მდივანი.

## პროვინცია

**სოფ. ხოვლე (გორის მაზრა).** სოფ. ხოვლე მდებარეობს რკ. გზის სადგურ გრაკლიდამ პირდაპირ სამხრეთით მშვენიერ, მაღლობ და საღ ადგილზე, 5 ვერსის მანძილზე. სოფელი თავისუფლათაც ჩაითვლება საგარაკო ადგილად, რადგანაც ტყე ახლოს არის და სასმელი წყლებიც მეტის მეტი ნოყიერი და მარგებელია. არის აბანოს წყლებიც სამკურნალო თვისებისა, რომელიც სრულიად ყურადღებოთ არის მიტოვებული. მართალია აქაურ მცხოვრებთ ყოველისფერში ბუნება ხელს უწყობს, მაგრამ თვით ვერ სარგებლობენ. 500 კომლიანი სოფელი ისეთს უთაურობას იჩენს, რომ რიგიანი გზა-კვალი არა აქვთ, ასე გაშინჯეთ, სადგურ გრაკალში რომ ჩავიდეს კაცი, უნდა შემოიაროს რამდენიმე სოფელი 10, 12 ვერსი და გამოულამდეს მთელი დღე. პირდაპირი გზით-კი სულ 5 ვერსია და რომ ითავებდენ, ჩინებული საურმო გზა გაკეთდებოდა. ამით არავის არაფერი დააკლდება და სოფელს კი დიდი სიკეთე მოუვა. მართლაც ამ მხრივ დიდ გასაჭირს განიცდის სოფ. ხოვლე. იძახიან, პირდაპირი გზა რომ გაკეთდეს მეზობელ სოფლების დოესის და ყარალაჯის სახნავი მიწები ჩაიჭრებაო, მაგრამ ეგეთი გაზვიადებაც არ შეიძლება, და ნუთუ მეზობელმა სოფელმა მეზობელს ხელი არ უნდა გაუმართოს გასაჭირში?!. მეორე უფრო დიდი ნაკლი აქვს კიდევ ამ სოფელს. ეს გახლავთ მამულების სარწყავი წყლის ნაკლებობა. სოფელს რომ სარწყავი წყალი ჰქონდეს ყოველთვის საკმარისი, მოსავალი მოუვა. ეხლა კი აუწერელია ის გაჭირვება, რასაც განიცდის სოფელი სარწყავი წყლის ნაკლებულობით. ერთი ამბავი, ალიაქოთი და უსიამოვნობა შეუდგებათ ხოლმე, წარმოიდგინეთ ქურდობაც კი ხდება წყლისა და ჩავარდება ხშირად ჩხუბი-დავიდარაბაც. წყლის გამოყვანასაც არ დასჭირდება დიდი ხარჯი, ოღონდ მოწადინება და ერთი პირი იყვეს სოფლისა.

საჭიროა სოფელმა მიმართოს ვისაც ჯერ არს დახმარებისათვის და არა მგონია ყურადღება არ მიაქციონ. კულტურულად და ზნეობრივადაც სოფელი დაქვეითებულია. გონებრივი საზრდო აქაურებისათვის სულ ახალი ხილია, მეზობელი მეზობელს არ ინახავს, არ ეხმარება, სულ გაკვრა-გაგლეჯაზე უქყეტიათ თვალები, დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს. ამას წინად თფილისიდან ხოვლეში მივდიოდი რკინის გზით და მატარებელში შემთხვევით მოვკარი ყური: „ხოვლელ კაცს თოკს ვერ ვანდობ, რომ თავი ჩამოიხრჩოსო“; მინდოდა ლაპარაკში ჩავრეულიყავ, გამოვსარჩლებოდი ჩემს სოფელს, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მართალს ლაპარაკობდენ, სირცხვილისაგან დავიმალე და გადავედი სხვა ვაგონში. ასე აქვს გატეხილი ხოვლელ კაცს სახელი. ერთი სიტყვით ბევრია აქ იმის თანაგლეხები, რომელნიც სახელს უტეხავენ სოფელს. არიან შეგნებული გლეხებიც, მაგრამ ისე, როგორც ზღვა წყალში ერთი წვეთი სისხლი. სოფელში ერთი ცუდი ჩვეულებაა, მაგალითად: აქ რომ მიაბარო ვისმეს საშენებლად, მოსავლელად, სანახევროთ რაიმე საქონელი: ხარი, ძროხა, ცხვარი ან თხა, იცოდეს პატრონმა, რომ ველარ ეღირსება ის თავის საქონელს, მოგიდებენ შარს, ეს მგელმა ჭამაო, ეს ქურდმა, ის კი არა და მგელიც და ქურდიც თითონა ყოფილა და პატრონები ცარიელა დაუტოვებიათ. ადგილობრივი მოსამართლენი ვერ იჩენენ საკმაო ფხას, ვერ არიგებენ და ვერ სწყვეტენ საქმეს დაზარალებულის სასარგებლოთ, რის გამოისობითაც დამნაშავეც ხედავს რა მოსამართლის სუსტ მოქმედებას, უფრო თავს მიდის და განაგრძობს იმავე ცუდ საქმეს და ეს სენიც ედება მთელს სოფელს...

სოფელში კიდევ მოიპოვებიან წვრილა პატარა ვაჭრუკებიც, რომელნიც პირდაპირ ტყავს აძრობენ მთელს სოფელს. კოოპერატივი თუმცა არის, მაგრამ ვერ უწევს კონკურენციას მათ.

მიხო ხოვლელი.

## ასკანის თემის გამგეობას

კორესპონდენტ „ორი იქსის“ საპასუხო წერილში ასკანის თემის გამგეობა მეც მეხება (იხ. 24 ქრისტეშ. „ერთობა“).

მე, როგორც ყოველ მოქალაქეს, ნება მაქვს ჩემი საკუთარი აზრი მქონდეს და მე ვფიქრობ, რომ „ორი იქსის“ მიერ წაყენებული ბრალდება ისევ ბრალდებათ რჩება: საქმე ის კი არ არის, თუ ვისი „საშვალებით“ იქნა წარდგენილი ვასაძე მაზრის მილიციის უფროსთან“, საქმე ის არის, რომ მრავალნაირი ძალდატანება აღმოჩნდა საჭირო, რომ ვასაძე წარდგენილი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში დავის საბოლოვო გადაწყვეტა ასკანის თემის გამგეობის და „ორი იქსის“ საქმეა.

პირადათ მე უნდა მოვახსენო პატივცემულ გამგეობას, რომ მას ჩემი მოკლე განმარტება ყურადღებით არ წაუკითხავს: მე იქ ბ ალს ვსდებ ასკანის ადმინისტრაციას, კერძოთ ვიხსენიებ თავლაკვაძეს და წიტაიშვილს და მთელ გამგეობაზე არას ვამბობ.

იძულებული ვარ ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ ვასაძის დაჭერა მე სრულიად არ მაინტერესებდა. ასკანის თემის გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ მე დეპუტატი ვარ და არა მილიციელი, ვემორჩილები ჩემს სინიდისს და დამფუძნებელ კრებას და ამიტომ სულაც არ ვიყავი ვალდებული ყრილობა შემეკრიბა ზოგიერთების უკანონო მოქმედების გასაშუქებლად, როგორც ამას თქვენ სწერთ.

არც იყო ეს საჭირო.

დასასრულ საჭიროთ ვთვლი განვუმარტო თემის გამგეობას, რომ მის ღირსებას არ შეეფერება ის, რომ რაღაც იერ აზროვანი სიტყვებით ბძანებს: ტუსკიას განცხადებაზე ჰკითხეთ ვიქტორი და თედორე ნინიძეებსო.

რას ნიშნავს ეს? თქვენ შეიძლება არ გიყვარდეთ ვიქტორ და თედორე ნინიძეები, მაგრამ მე რა შუაში ვარ. მე მივიღე ტუსკიას წერილობითი განცხადება და მას მსვლელობა მივეცი. სხვა გვარი მოქცევა მე არც შემეძლო.

იქნებ თქვენ ცნობები გაქვთ, რომ ვიქტორ და თედორე ნინიძეებმა ძალდატანებით ან მოტყუებით დააწერიეს ბ. ტუსკიას განცხადება?

კ. ნინიძე.

## ფოსტა

**ქუთაისი.** ევტიხი ჩხატარაიშვილს. ფოსტით გამოგზავნილი 60 მ. მივიღეთ. გვაცნობეთ თქვენი სწორი მისამართი და ბანკის საბუთს უკან დაგიბრუნებთ.

**მუხრანი.** მასწ. მაკარი ლ. კოპალეიშვილს. გაზეთი გეგზავნებათ 11 დეკემბრიდან.

## განცხადებანი


გამოვიდა და იყიდება

თვიური

**კედლის კალენდარი**

1920 წ. ფასი 10 მანეთი.

საწყობი: ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3 (ნ 3—1)

---

ცეკვის სასწავლებელი

**ი. ა. როზენბერგისა.**

27 წელიწადია ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხაბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან სალამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (3331-5-2)

---

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების, ჰაჭების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და სალამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ.3372)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

---

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

---

ექიმი ს. [illegible]

იღებს შინაგან, საბებიო [illegible] სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და სალ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: [illegible] ქ. № 7, [illegible]რონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

---

ექიმი ქალი ი. მ. [illegible]-ხახუტაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

---

ექიმი მ. ა. შაურაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და ხაშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

---

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

**გ. გ. მეჩრაგიანი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და სალ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

---

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ი. ი. ქეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

---

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე სალამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

---

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავადმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და სალამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

---

ექიმი კ. ტუშმალაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. სალამოს 5—7 საათამდე. (2925)

---

**ოზურგეთში** ექიმი ს. გ. აბაშიძე

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელებების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაცვიდით“, ვენერიული: სიფილისის და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, კ. სიმბაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

---

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო,

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ და საკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“. (2930—თ.)

---

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებანი. მიღება სალამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

---

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე სალამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

---

ექიმი ა. დ. ქაქაბაძე

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.